

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



თემური ნებიერიძე

საერთაშორისო საფონდო ინდექსების გავლენა ქართული
ინდექსების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში

სამაგისტო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი, პროფესორი: დავით ასლანიშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

მოცემული ნაშრომი: „საერთაშორისო საფონდო ინდექსების გავლენა ქართული ინდექსების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში“ შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან.

შესავალში წარმოდგენილია თემის აკტუალურობა, მისი მიზანი, ნაშრომის კვლევის ობიექტი და ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია.

ნაშრომის პირველი თავი ჩაშლილია ექვს ქვეთავად, რომლებშიც თავის მხრივ არის განხილული საფონდო ინდექსების ცნება და მნიშვნელობა. მოცემულ თავში არის ჩაშლილი საერთაშორისო საფონდო ინდექსები და აღწერილია მათი ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების გზები.

ნაშრომის მეორე თავი შედგება სამი ქვეთავისაგან, რომლებშიც თავის მხრივ განხილულია მსოფლიო სარეიტინგო კომპანიების შექმნის და განვითარების თავისებურებები.

ნაშრომის მესამე თავი შედგება ორი ქვეთავისგან, რომლებშიც ჩაშლილია საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარებისა და ჩამოყალიბების გზები ასევე განხილულია საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსის მნიშვნელობა და გამოთვლის მექანიზმები.

აღნიშნული ნაშრომის ბოლო ნაწილი შედგება დასკვნისაგან, სადაც შეჯამებულია ნაშრომში განხილული თემები, ასევე ნაშრომის ბოლოს თანდართულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

Annotation

This work “International stock exchange indexes influence on creating and functioning of Georgian exchange indexes” consists of introduction, 3 chapters and conclusion.

Introduction describes actuality of work, objectives, research object and methodology.

First chapter contains 6 sections reviewing exchange indexes meaning, creating of international indexes and ways of running business.

Second chapter contains 3 section describing international Credit Rating Agencies, characteristics of their creation and development.

Third chapter contains 2 sections which breaks down Georgian stock exchange market formation and development. It also reviews Georgian stock exchange GSX index calculation and importance.

Last part concludes discussed topics also provides reader with references and used materials.

შესავალი.....	5
თავი პირველი. საფონდო ინდექსების ცნება და მნიშვნელობა.....	7
Dow Jones Industrial Average(DJIA) ინდექსი.....	8
Standard & Poor’s ინდექსი	12
Russel 2000 ინდექსი	16
ევროპის საფონდო ბირჟის მსხვილი ინდექსები.....	22
აზიის საფონდო ბირჟის მსხვილი ინდექსები	25
თავი მეორე . სარეიტინგო სააგენტოები, როგორც ფინანსური ინდიკატორი.....	28
Fitch ratings	29
Moody’s Investors Service	32
Standard&Poor’s	35
თავი მესამე. საქართველოს საფონდო ბირჟა და მისი ინდექსები.....	39
საქართველოს საფონდო ბირჟა	41
საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი	43
დასკვნა	46
გამოყენებული ლიტერატურა.....	49

შესავალი

კვლევის აქტუალობა. დღევანდელ მსოფლიოში, როდესაც ჩვენ გვაქვს თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან თუ სხვა საინფორმაციო წყაროსთან, შეგვიძლია ნებისმიერი საინტერესო ინფორმაციის გაგება და ასევე გაზიარება, დამეთანხმებით რომ, ასევე მარტივია აღნიშნული ინფორმაციის საფუძვლზე კონკრეტული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება, რასაც რასაკვირველია აქტიურად იყენებენ ფინანსური მენეჯერები.

ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში მრავალი ფაქტორი ასრულებს როლს, იქნება ეს პოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივი, მათემატიკურ კვლევებზე დაყრდნობილი თუ სხვა ფაქტორები, მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა აისახება საერთაშორისო საფონდო ინდექსებზე. მსოფლიოში ნებისმიერი მოვლენა თუ ფაქტი გავლენას ახდენს საფონდო ინდექსების ზრდისა თუ კლების ტენდენციებზე, რომ შევხედოთ დასავლეთის მაგალითს ჩვენ ვნახავთ რომ, ამერიკულ შეერთებულ შტატებში ნებისმიერი ეკონომიკური ცვლილება აისახება მსხვილ საფონდო ინდექსებზე, როგორებიცაა : “DJIA (Dow Jones industrial Average)”, “S&P 500“, “NYSE”, “NASDAQ“ და ა.შ. აღნიშნულ ინდექსებზე დაყრდნობით , ფინანსური მენეჯერები და ეკონომისტები ყოველდღიურად იღებენ სხვადასხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ფინანსური ბაზარი ძალიან მგრძობიარეა გარე ფაქტორების მიმართ , შესაბამისად ნებისმიერ ინფორმაციას თუ მოვლენას შეუძლია ზემოქმედება იქონიოს აღნიშნულ ინდექსებზე, აქედან გამომდინარე საერთაშორისო საფონდო ინდექსები ეხმარება ფინანსურ მენეჯერებს მიიღონ სწორი და გამართლებული გადაწყვეტილებები.

საქართველოს ფინანსური ბაზრის ისტორია ორ ათეულ წელიწადს ითვლის, პირველი საფონდო ბირჟა 1999 წლიდან ფუნქციონირებს და მას „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (სსბ) ეწოდება, იგი დაფუძნებულია წამყვანი საბროკერო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. საქართველოს საფონდო ბირჟის სისტემები, წესები და პროცედურები შემუშავებულია ამერიკის გავნითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ხოლო 2000 წლის 14 იანვარს საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიამ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და მას მიენიჭა საქართველოს თვითგავნითარებადი ორგანიზაციის სტატუსი, იმავე წლის 23 მარტიდან საქართველოს საფონდო ბირჟაზე აქტიურად მიმდინარეობს საბირჟო ვაჭრობა, ხოლო 2000 წლის 15 სექტემბრიდან იგი არის ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის წევრი, ამასთან ერთად აღსანიშნავია ის ფაქტი რომ საქართველოში 2010 წლიდან, სსბ-ზე სავაჭროდ დაშვებული 10 კომპანიის ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციის საფუძველზე, იანგარიშება საქართველოს საფონდო GSX(Gergian stock exchange index), რომლის

დახმარებითაც, ჩვენ შეგვიძლია დავიჭიროთ საბაზრო ინჰულსები და შევძლოთ მათზე რეაგირება.

ზემოთ ნახსენები ფაქტორების და მათი მნიშვნელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარება და სწორი ინვესტიციების განხორციელება, რაშიც დიდი როლი უკავია საერთაშორისო და ლოკალურ ინდექსებს.

კვლევის მიზანი. აღნიშნული კვლევის მიზანია სიღრმისეულად გამოიკვლიოს საერთაშორისო საფონდო ინდექსები, მათი ფუნქციები და განვითარების გზები, ამასთან ერთად დაადგინოს თუ რა დაბრკოლებებმა და ფაქტორებმა დახვეწეს და გააუმჯობესეს მათი გამოთვლის და სანდოობის ხარისხი, ამასთან ერთად აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს თუ როგორ იმოქმედა აღნიშნული ინდექსების განვითარების გზებმა ქართული ინდექსების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ნაშრომის კვლევის ობიექტი. ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო საფონდო ინდექსები, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს როგორც ამერიკულ ასევე ევროპულ და აზიური ინდექსების კვლევას, ამასთან ერთად კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს საფონდო ბირჟა და მისი ინდექსები.

ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო საფონდო ინდექსების სიღრმისეული ანალიზი და მუშაობის პრინციპები აგრეთვე ქართული საფონდო ინდექსის მუშაობის სქემის ანალიზი. ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა დამოწმებულ წყაროზე დაყრდნობილი ცხრილები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

თავი პირველი. საფონდო ინდექსების ცნება და მნიშვნელობა

საფონდო ინდექსი იგივე აქციათა ბაზრის ინდექსი წარმოადგენს აქციათა ბაზრის ღირებულების გაზომვის ერთ-ერთ ზუსტ მეთოდს, მისი გამოთვლა ხორციელდება შერჩეული აქციათა ღირებულების მიხედვით ზოგჯერ აღნიშნულის გამოსათვლად გამოიყენება აქციათა ღირებულების საშუალო შეწონილის მაჩვენებელი. საფონდო ინდექსი ეხმარება ფინანსურ მენეჯერებსა და ინვესტორებს მოახდინონ ბაზრის აღწერა და ინვესტირებათა შემოსავლიანობის ერთმანეთთან შედარება, თითოეულ ინდექს აქვს გამოთვლის თავისებური ფორმულა.

მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარი ნებისმიერი მოვლენა თუ ფაქტი აისახება საფონდო ინდექსის ზრდისა თუ კლების ტენდენციებზე, რადგან ნებისმიერ ფაქტორს იქნება ეს ბუნებრივი, პოლიტიკური თუ სხვა შეუძლია ინდექსებზე გავლენის მოხდენა. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი ინდექსები, როგორებიცაა DJIA (Dow Jones Industrial Average), S&P 500, Nasdaq, და ა.შ შეუძლიათ მოგვაწოდონ ინფორმაცია, მათში შემავალი კომპანიების საფუძველზე, თუ როგორი მდგომარეობა ეკონომიკაში, და რა პროცესებთან გვაქვს საქმე.

აღსანიშნავია ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ინფრასტრუქტურის როლის მნიშვნელობა, რომელსაც წარმოადგენს საფონდო ბირჟა, რომელიც თავის მხრივ არის ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობას და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას, დადგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. საფონდო ბირჟა წარმოადგენს საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტს, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის გზით. ბირჟა არის ინსტიტუტი, რომელიც სწრაფად იჭერს საბაზრო და არა მარტო საბაზრო იმპულსებს და ახდენს მომენტალურ რეაგირებას, რომელიც აისახება საფონდო ინდექსების გზით, შეიძლება ითქვას რომ საფონდო ინდექსები წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის წინსმწრებ ინდიკატორს რომლის დახმარებითაც ინვესტორებსა და ფინანსურ მენეჯერებს შეუძლიათ მიიღონ მომგებიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც შემდგომ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ფასიანი ქაღალდების ინდექსების კლასიფიცირება სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი, მაგალითად, მსოფლიო იგივე გლობალური აქციების ბაზრის ინდექსები მოიცავენ კომპანიების მთელი მსოფლიოს მაშტაბით, რომელთაც მიეკუთვნება NASDAQ, S&P Global 1200 და სვა. ასევე გვხვდება ნაციონალური ინდექსი რომელიც წარმოგვიდგენს კონკრეტული ქვეყნის საფონდო ბაზრის მდგომარეობას და ეხმარება ინვესტორებს გაანალიზონ აღნიშნული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, აღნიშნულ ინდექსები შედგენილია მსხვილი კომპანიების აქციების მიხედვით, ასეთებია ამერიკის S&P 500,

იაპონიის Nikkei 225, გერმანიის DAX 30, საფრანგეთის CAC 40, ჰონკონგის Hang Seng, ბრიტანეთის FTSE 100, და ჩვენი ქვეყნის მაგალითზე საქართველოს GSX index.

Dow Jones Industrial Average(DJIA) ინდექსი

მსოფლიოში პირველი საფონდო ინდექსი შეიქმნა ამერიკაში, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილ ფინანსურ-ეკონომიკური გამომცემლობის “The Wall Street Journal“-ის დამფუძნებლის ჩარლზ ჰენრი დოუმის მიერ(1851-1902). მისი წვლილი საფონდო ბაზრის შესწავლასა და დახვეწაში საკმაოდ დიდია, სწორედ მისი კვლევების მეშვეობით ფასების ცვლილების პროგნოზირების გრაფიკულ ანალიზით დაედო საფუძველი, ეგრეთ წოდებულ, „ტექნიკურ ანალიზს“.

Dow Jones Industrial Average (DJIA) ინდექსი, ასევე ცნობილი როგორც DOW 30, წარმოადგენს საფონდო ინდექსს, სადაც შესულია 30 მსხვილი კომპანიის მონაცემები, რომლებიც ჩართულნი არიან ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის (NYSE,NASDAQ) ვაჭრობაში. როგორც ზემოთ ვახსენე აღნიშნული სახელწოდება ეფუძნება ინდექსის შექმნელის ჩარლზ დოუს სახელს, რომელმაც 1896 წელს თავის ბიზნეს პარტნიორთან ედვარდ ჯონსთან ერთად შექმნა აღნიშნული ინდექსი. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, როდესაც ფინანსურ ჟურნალებს და სხვა გამომცემლებს აინტერესებთ საფონდო ბაზრის სიტუაცია, ისინი ეყრდნობიან აღნიშნული ინდექსის ინფორმაციას, რაც ხაზს უსვამს მის სანდოობას და პოპულარობას.

დოუ ჯონსის ინდუსტრიული საშუალოს ინდექსი მსოფლიოში რიგით მეორე უძველეს ინდექსს წარმოადგენს. მაქამდე ჩვენ გვხვდება Dow Jones Transportation Average(DJTA)-ინდექსი, რომელიც მოიცავს 20 სატრანსპორტო კომპანიის საშუალო შეწონილს, რომლებიც ვაჭრობენ ამერიკის ბაზარზე. დოუ ჯონსის სანტრანსპორტო საშუალოს ინდექსი წარმოადგენს ამერიკის უძველეს ინდექსს რომელიც შეიქმნა 1884 წელს ჩარლზ დოუს მიერ, თავდაპირველად ინდექსი მოუცავდა 9 სატრანსპორტო და 2 სხვა დარგის კომპანიებს რაც ხაზს უსვამდა იმ დროინდელ სატრანსპორტო მრეწველობის დომინირებას მე-19 საუკუნის ბოლოსა და 20-ე საუკუნის დასაწყისში. დღესდღეობით სატრანსპორტო კომპანიებთან ერთად ინდექსი აგრეთვე გვხვდება ავიაკომპანიების, საზღვაო გადაზიდვების, სატვირთო გადაზიდვების, და ლოჯისტიკური კომპანიების მონაცემები. (Kenton, investopedia.com, 2020)

DJIA ინდექსი რომელსაც ასევე შემოკლებით „Dow“ ინდექსაც უწოდებენ, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საფონდო ინდექსს რომელიც მოიცავს 30 უმსხვილეს კომპანიის მონაცემებს, რომელიც თავის მხრივ სარგებლობენ დიდი პოპულარობით არიან ფინანსურად სტაბილურები და ძლიერები, მათ რიგებს მიეკუთვნება: Walt Disney Company, Exxon Mobil Corporation, and Microsoft Corporation.

1896 წელს როდესაც აღნიშნული ინდექსი პირველად იყო ჩაშვებული გამოყენებაში, მასში შედიოდა მხოლოდ 12 კომპანიის მონაცემები, რომლებიც ძირითადად წარმოადგენენ სამრეწველო ინდუსტრიას.

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ თუ როგორ იანგარიშება DJIA ინდექსი, ჩვენ უნდა გავიხსენოთ თუ როგორ იანგარიშებოდა იგი მისი შექმნის პირველ პერიოდში. როგორც უკვე ზემოთ ვახსენე, აღნიშნულ ინდექსში შედიოდა 12 მსხვილი კომპანია რომლის აქციების ფასის ჯამი მარტივად იყოფოდა მათ რაოდენობაზე, სწორად ამიტომ ეწოდება მოცემულ ინდექს დოუ ჯონსის ინდუსტრიული საშუალო. შემდგომ პერიოდში DJIA ინდექსის გაანგარიშების წესი შეიცვალა, რადგან მხოლოდ არითმეტიკული საშუალოს გაგებით რთული იყო რეალური მონაცემების ნახვა და გააზრება. ამჟამად DJIA ინდექსის ღირებულება გამოითვლება წინა პერიოდისგან განსხვავებით. მოცემული ფორმულა კვლავ ძალიან მარტივია და ტოლია შემავალი აქციების ფასების ჯამი, რომელიც იყოფა ე.წ Dow Devisor(გამყოფი დოუ). თავდაპირველად აღნიშნული გამყოფი ტოლი იყო კომპანიების რაოდენობისა, რითაც აღნიშნული ფორმულა გადააქცია არითმეტიკულ საშუალოდ, დროთა განმავლობაში, რიგმა ფაქტორებმა, იქნება ეს აქციების დაშლა, ზოგი აქციის ფასის მკვეთრი ზრდა ან ვარდნა და კომპანიების ჩამონათვალში ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს Dow Devisor-ზე. დოუ გამყოფის გამოთვლის კონცეფცია საკმაოდ მარტივია, მისი გამოთვლა ხდება ინდექსის ახალი ღირებულების შეფარდებით ძველ ღირებულებასთან. დღესდღეობით Dow Devisor-ის მნიშვნელობა 1 ზე ნაკლებია და ზუსტი ინფორმაციის გასაგებად თუ რამდენს წარმოადგენ იგი ახლანდელ პერიოდში ჩვენ შეგვიძლია „The Wall Street journal“-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე(<https://www.wsj.com/>).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ 30 მსხვილი კორპორაცია თავისი წილობრივი მაჩვენებლით ინდექსში. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ჩანს თუ რა თანაფარდობით არიან მოცემული კომპანიები DJIA ინდექსში, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ 30 კომპანიიდან არ შეიძლება გამოვყოთ ერთი ლიდერი რომელიც საკმაოდ დიდი წილით გამოირჩევა, რაც ხაზს უსვამს მოცემული ინდექსის სანდოობას და სიზუსტეს, რადგან იგი არ არის დამოკიდებული რამოდენიმე მსხვილი კომპანიის მაჩვენებლებზე, ამასთან ერთად არსებობს კომპანიები რომლის მაჩვენებლებიც 1-2 პროცენტამდე მერყეობს.

ამისდამიუხედავად ინდექსში შესული კომპანიები წარმოადგენენ ამერიკულ ბაზარზე მოღვაწე უმსხვილეს კორპორაციებს, რომლის სახელები ცნობილია ადამიანების უმრავლესობისათვის, ესენია: Microsoft, Apple, McDonald's, Exxon, JPMorgan, Chase, Boeing, Pfizer, Nike, Visa, Verizon, Walmart და Coca-Cola.

არ არსებს გაწერილი გეგმა თუ რა სქემით უნდა მოხდეს აღნიშნულ ინდექსში კომპანიების დამატება და შემდგომ მათი დახმარებით ინდექსის გამოთვლა, მაგრამ გადაწყვეტილებას თუ რომელი კომპანიები უნდა შედიოდნენ მოცემული ინდექსის ცხრილში იღებენ "The Wall Street Journal"-ის რედაქტორები, რასაკვირველია გადაწყვეტილების მიღებაში მათ ეხმარებათ მსხვილი კორპორაციების ცნობადობის და პოპულარობის მაჩვენებელი ამერიკულ ბაზარზე.

დოუ ჯონსის ინდუსტრიულ საშუალოს, როგორც მომხრეები ასევე ჰყავს კრიტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ მოცემული ინდექსი არ არის ზუსტი მაჩვენებელი იმისა თუ როგორი მდგომარეობაა ამერიკულ ბაზარზე, რადგან მასში შემავალი კომპანიების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. კრიტიკოსების ნაწილი უპირატესობას ანიჭებს S&P 500 -ს რადგან, მოცემულ ინდექსში შესულია 500 კომპანიის მონაცემები, რაც გულისხმობს იმას რომ იგი არის უფრო ზუსტი და რეალურად ასახავს ბაზრის ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთან ერთად კრიტიკოსების ნაწილი თვლის რომ DJIA-ს გაანგარიშების მეთოდიკაც შეიცავს ხარვეზებს, რადგან იგი ითვლის კომპანიის აქციის ფასის საშუალოს და არ იყენებს გამოთვლაში კომპანიის კაპიტალიზაციის მაჩვენებელს აქედან გამომდინარე, კომპანია რომლის აქციის ფასი არის მაღალი ხოლო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი აქვს სხვა კომპანიებთან შედარებით მცირე, შესაძლოა სარგებლობდეს უფრო მეტი წონით ინდექსში ვიდრე მაღალი კაპიტალიზაციის მქონდე კომპანია რომელსაც აქვს დაბალი ფასი აქციაზე.

აღნიშნული კრიტიკის მიუხედავად ვთვლი რომ Dow Jones Industrial Average ინდექსი, არის მსოფლიო ფინანსური ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომლითაც საკმაოდ ხშირად სარგებლობენ, როგორც ფინანსური მენეჯერები ასევე ინვესტორებიც.

Standard & Poor's ინდექსი

დოუ ჯონსის ინდექსის შემდეგ 1917 წელს შეიქმნა Standard & Poor's ინდექსი, რომელიც შეიმუშავეს ამერიკული კომპანიის “Standard and Poor's Corporation”-ის ანალიტიკოსებმა, კრიტიკოსების აზრით დოუ ჯონსის ინდექსი არ იყო ზუსტი ამსახველი იმისა თუ როგორ რეაგირებს ცვლილებები საბაზრო ეკონომიკაზე, და მას როგორც სუსტ ინდიკატორს ისე მოიხსენიებდნენ. აღნიშნულის გამო წარმოიშვა საჭიროება შეექმნათ უფრო ზუსტი ინდექსი რომელიც რეალურად ასახავდა ზუსტ მოვლენებს და იქნებოდა უტყუარი ინდიკატორი ამერიკული ეკონომიკისა. იმ დროისთვის დოუ ჯონსის ინდექსში მხოლოდ 12 აქციის საფუძველზე ხდებოდა ღირებულების გამოთვლა, ხოლო შემდეგ S&P ინდექსმა მხედველობაში მიიღო აშშ -ს 200 კომპანიის აქციის მონაცემები. შემდგომ პერიოდში ინდექსში შემავალი აქციების კომპანიების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და 500-ს მიაღწია, სწორედ ინდექსში შემავალი 500 კომპანიის გამო ჩვენ გვხდება მისი დღევანდელი სახელწოდება S&P 500.

S&P 500 იგივე Standard&Poor's 500, ეს არის ინდექსი რომელიც იყენებს საბაზრო კაპიტალიზაციის გამოთვლის სტრატეგიას, სადაც შესულია ამერიკის 500 ყველაზე ცნობილი კომპანია იგი ითვლება აშშ-ს აქციების ყველაზე კარგ ინდიკატორად, რომელსაც აქვს მსხვილი საბაზრო კაპიტალიზაცია. ოფიციალურ ვებ გვერდზე ჩვენ არ შეგვხდება 500 ისივე კომპანიის მონაცემები რადგან, S&P 500 გამოყოფს ტოპ 10 კომპანიებს, რომლებიც წარმოდგენილები არიან ოფიციალურ ვებ გვერდზე(<https://www.standardandpoors.com/>).

იმისთვის რომ მოხდეს კომპანიების დამატება აღნიშნულ ინდექსში მათ უნდა დააკმაყოფილონ სხვადასხვა კრიტერიუმები. მათი საბაზრო კაპიტალიზაცია არ უნდა იყოს 5 მილიარდ დოლარზე ნაკლები, ასევე აქციები უნდა იყოს გამოშვებული ამერიკული კომპანიების მიერ, ამასთან ერთად მათ უნდა ქონდეს 4 თანმიმდევრულ კვარტალში დადებითი მომგებიანობის მაჩვენებელი და უნდა აკმაყოფილებდნენ ლიკვიდობის შესაბამის მოთხოვნებს. კომპანიები რომლებიც არ შეასრულებენ მოცემულ მოთხოვნებს აღარ არიან ინდექსის მონაწილეები. აღნიშნული კრიტერიუმები ხაზს უსვამს იმ ფაქტს რომ ინდექსის გამოთვლისას გამოყენებულია 500 ნადმივლად მსხვილი და წარმატებული კომპანია, რომლის მონაცემების საფუძველზე ჩვენ ვიღებთ ნამდვილად უტყუარ და სწორად ამსხველ ინდიკატორს, რომელიც ეხმარება ფინანსურ მენეჯერებს მიიღონ სამომავლოდ გამართლებული გადაწყვეტილები.

ქვემოთ მოცემულია Top 5 კომპანიის მონაცემები, რომლებიც არიან S&P500 ინდექსის წევრები, ესენია:

1. Microsoft Corp.(MSFT)

- ინდექსის წონა: 5.5%
- საბაზრო კაპ.(მლრდ.\$):1,398
- შემოსავალი(მლრდ.\$):138.7
- სუფთა მოგება(მლრდ.\$):46.3

Microsoft წარმოადგენს კომპიუტერული უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე კომპანიას, რომელიც აწარმოებს პროდუქტებს საკუთარი და კორპორატიული გამოყენებისათვის, როგორებიცაა: Windows, McOffice, Xbox.

2. Apple inc.(AAPL)

- ინდექსის წონა: 5.3%
- საბაზრო კაპ.(მლრდ.\$):1,3287.9
- შემოსავალი(მლრდ.\$):268.0
- სუფთა მოგება(მლრდ.\$):57.2

Apple წარმოადგენს მსხვილ მობილური ტექნიკის და სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელს, რომელიც ორიენტირებულია სამომხარებლო ბაზრისთვის. მობილური ტექნიკასთან ერთად იგი ასევე ჩართულია კომპიუტერული ბიზნესის სფეროში.

3. Amazon.com Inc.(AMZN).

- ინდექსის წონა: 4.0%
- საბაზრო კაპ.(მლრდ.\$):1,017.2
- შემოსავალი(მლრდ.\$):296.3
- სუფთა მოგება(მლრდ.\$):10.6

Amazon წარმოადგენს მსხვილ ონლაინ გაყიდვების პლატფორმას, სადაც მომხარებელს შეუძლია შეიძინოს ნებისმიერი სახის პროდუქცია.

4. Facebook Inc.(FB)

- ინდექსის წონა: 2.1%
- საბაზრო კაპ.(მლრდ.\$):541.7
- შემოსავალი(მლრდ.\$):73.4
- სუფთა მოგება(მლრდ.\$):21.0

Facebook წარმოადგენს სოციალური ქსელის პლატფორმას, რომელიც ითვლება მსოფლიოში ყველაზე მსხვილ სოციალურ ქსელად. ამასთან ერთად აღნიშნულ კორპორაციას აქვს ისეთი სოციალური ქსელები, როგორებიცაა : Instagram, Messenger app, WhatsApp.

5. Alphabet Inc. Class A Shares(GOOG).

- ინდექსის წონა: 1.7%
- საბაზრო კაპ.(მლრდ.\$):429.5
- შემოსავალი(მლრდ.\$):166.7
- სუფთა მოგება(მლრდ.\$):34.5

Alphabet inc. არის ისეთი მსხვილი საძიებო პროგრამების მფლობელი, როგორებიცაა Google და Youtube. აღსანიშნავია ის ფაქტორი რომ მოცემულ კორპორაციას აქვს ორი კლასის აქციები, პირველი კლასის აქციების მფლობელები არ სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით, ხოლო მეორე კლასის აქციების მფლობელებს აქვთ აღნიშნული უფლება, ამისდა მიუხედავად ისინი მიაჩნენ წარმოადგენენ მსხვილი აქციებს რომლებიც შესულია S&P500-ში.


ზემოთ ჩამოთვლილი კომპანიები ხაზს უსვამს იმას თუ რამდენად მსხვილი კომპანიების მონაცემები არის შესული S&P 500 ინდექსის გამოსათვლელად, მათი მსხვილი ბრუნვის მიუხედავად აქვე აღსანიშნავია მოცემული კომპანიების მნიშვნელობა და პოპულარობა მსოფლიო ბაზარზე.

კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის გამოთვლა ხდება აქციების მიმდინარე ფასების გარმავლებით დანარჩენ აქციებზე. S&P ინდექსი იყენებს მხოლოდ თავისუფალ მიმოქცევაში მყოფ აქციებს რომლებითაც შესაძლებელია ვაჭრობა. მოცემული ინდექსი ახორციელებს თითოეული კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის კორექტირებას და შემდგომ ინდექსის მნიშვნელობა ითვლება მათი დაჯამებით და ეგრეთ წოდებულ გამყოფზე გაყოფით, რომელიც წარმოადგენს Standard&Poor's ის კონფიდენციალურ ინფორმაციას. (Kenton, investopedia.com, 2020)

ამის მიუხედავად ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ კომპანიის ხვედრითი წილი ინდექსში, რათა შემდგომ გავიგოთ თუ როგორი გავლენა შეიძლება იქონიოს მისი მონაცემების ცვლილება ინდექსის მაჩვენებელზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N2 -ში ნაჩვენებია ინდექსში შემავალი ინდუსტრიების ხვედრითი წილი. აღნიშნული ინფორმაცია ეხმარება ინვესტორს ყურადღება გაამახვილოს თუ რომელი სფეროები მოქმედებენ ინდექსის ცვლილებაზე და რამდენად სწორი ინფორმაციის გაგება შეუძლია მას. მოცემული მაჩვენებელი არის ცვალებადი, რადგან დღევანდელ მსოფლიოში ყოველდღიურად იცვლება მოთხოვნა სხვადასხვა სფეროს მიმართ, ქვემოთ მოცემულია 2020 წლის 30 აპრილის მონაცემები:

ცხრილი N2



წყარო: [\(S&P Dow Jones Indices, 2020\)](#)

მოცემულ ცხრილზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ თუ რომელი სფეროს კომპანიები სარგებლობენ დიდი ხვედრითი წილით ინდექსში და როგორი გავლენა შეუძლია მოახდინოს აღნიშნული კომპანიების მონაცემების ცვლილებამ ინდექსის მაჩვენებლის ცვლილებაზე. როგორც ხედავთ S&P ძირითადად ორიენტირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიურ, ჯანმრეთელობაზე ზრუნვისა და ფინანსურ ინდუსტრიებზე და არც თუ ისე დიდი წილი უჭირავს ისეთ სფეროებს როგორც მატერიალური წარმოება, უძრავი ქონების გაყიდვა, კომუნალური მომსახურება და გადამამუშავება.

Russel 2000 ინდექსი

DJIA 30 და S&P 500 ის ინდექსები, როგორც ზემოთ ვახსენე გასაანგარიშებლად იყენებენ მხოლოდ მსხვილი და პოპულარული კომპანიების მონაცემებს, რაც არ ასახავს ბაზრის მთლიან სურათს. იმისთვის რომ დავინახოთ თუ როგორი მდგომარეობა მთლიან ბაზარზე არანაკლებ მნიშვნელოვანია დაბალი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების მონაცემებიც, სწორედ ამის გამო შეიქმნა Russel 2000 ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ინდიკატორს, სადაც ასახულია დაბალი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების ცვლილებები.


Russell 2000 წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საფონდო ინდექსს, რომელიც შეიქმნა 1984 წელს. ყოველწლიურად მასში შემავალი კომპანიების ცხრილი იცვლება, რადგან მათი არჩევა ხდება წინა პერიოდის აქციის ფასების გადახედვით. მოცემული ინდექსის შექმნიდან მისი მაჩვენებელი ეტაპობრივად იზრდება მაგრამ მას ქონდა ჩავარდნებიც, რაც გამოწვეული იყო მსოფლიო ეკონომიკური მოვლენებით.

Russell 2000 ეს არის ინდექსი რომელიც წარმოადგენს 2000 კომპანიის დინამიკის ინდიკატორს, რომლებიც თავის მხრივ არიან დაბალი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიები Russell 3000 ინდექსისა. ინდექსში შემავალი კომპანიების სფეროებს მიეკუთვნება: საფინანსო, ჯანმრთელობის, ტექნოლოგიური წარმოების, სამომხმარებლო და სხვა სფეროს წარმომადგენელი კომპანიები. აღნიშნული ინდექსი არის კარგი მაჩვენებელი, სიტუაციის რომელიც არის ამერიკულ ბაზარზე. როგორც ზემოთ უკვე ვახსენე იგი შედგება საშუალო და პატარა ამერიკული კომპანიებისაგან, რომლებსაც აქვს შედარებით დიდი ზრდის პოტენციალი ვიდრე მსხვილი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებს. ამის მიუხედავად აღნიშნულ ინდექსში შემავალი კომპანიების უპირატესობას წარმოადგენს მათი დაბალი დამოკიდებულება გარეეკონომიკური ფაქტორებისადმი.

Russell 2000 ინდექსი, მსგავსად S&P500 ინდექსისა იყენებს კომპანიის კაპიტალიზაციის დათვლის მეთოდს, რითაც აღნიშნული ინდექსების გამოთვლის ტექნიკა ერთნაირია. ამის მიუხედავად ზემოთ მოყვანილ მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მარტივად შეგვიძლია დავინახოთ განხსვავება ამ ორ ინდექს შორის. S&P 500 იყენებს მსხვილი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებს ხოლო Russell 2000 იყენებს დაბალი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებს. აქვე აღსანავია განხვავება თუ რა პრინციპით ირჩევა ინდექსში მყოფი კომპანიების ჩამონათვალი, პირველ შემთხვევაში კომპანიების შერჩევას ახორციელებს სპეციალური კომიტეტი, რომელიც სხვადასვა კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებზეც ვრცლად ზემოთ ვისაუბრე, არჩევს S&P 500 წევრებს, ხოლო მეორე შემთხვევაში კომპანიების შერჩევა ხდება სპეციალური ფორმულით რომელიც დაყრდნობილია კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის გამოთვლაზე. (Chen, Russell 2000 Index, 2020)

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N3- ში მოცემულია ინფორმაცია თუ რა ხვედრითი წილი აქვს ინდექსში შემავალ ინდუსტრიებს, რომელიც ზემოთა მაგალითის მსგავსად ეხმარება ინვესტორებს კარგად ნახონ თუ რომელი სფეროს კომპანიებს აქვთ გავლენის მოხდენის მეტი შესაძლებლობა ინდექსზე და რომელი სფეროს აქციებს შეუძლია შეცვალოს ინდექსის მაჩვენებელი. კომპანიების ხვედრითი წილი არის ცვალებადი, მათი მნიშვნელობის გამო, ხოლო აღნიშნულ ცხრილში არის გამოყენებული 2020 წლის პირველი კვარტალის მონაცემები.

ცხრილი N3.



წყარო: [\(Russell 2000 Sector Weightings, 2020\)](#)

მოცემულ მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად ჩანს, რომ Russell 2000 ინდექსის ძირითად სფეროებს წარმოადგენს: ჯანმრთელობაზე ზრუნვის, ფინანსური და ინდუსტრიული სფეროები, როდესაც S&P 500 მაგალითზე წილობრივ ლიდერობას სხვა

სფეროს წარმომადგენლები ინაწილებდნენ, როგორებიცაა: ინფორმაციული ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო და ჯანმრთელობაზე ზრუნვის კომპანიები. რაც თავის მხრივ ნათლად ასახავს თუ რა სფეროს კომპანიები არიან ძირითადად დაბალი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე. აღნიშნული ინფორმაცია, რა თქმა უნდა, დაეხმარება როგორც ფინანსურ მენეჯერებს ასევე ინვესტორებს ნახონ თუ როგორ მდგომარეობა დაბალი კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების ბაზარზე და მიიღონ შესაბამისი სამომავლოდ გამართლებული ფინანსური გადაწყვეტილებები.

აშშ-ს მსხვილი საფონდო ბირჟის ინდექსები

დღეისათვის მსოფლიოში ფუნქციონირებს 200-მდე საფონდო ბირჟა. მათ შორის უმსხვილესები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის რეგულატორებსა და ინდიკატორებს. საფონდო ბირჟების სახეობების წარმოშობა განპირობებულია განვითარებული და ფორმულირებული სავაჭრო-სამომხმარებლო და ინსტრუქტული სტრუქტურით. სწორედ ამიტომ, ისეთ ქვეყნებში, სადაც განვითარების მაღალი დონე და პოტენციალია, არსებობენ ყველაზე დიდი და ცნობილი საფონდო ბირჟები.

ამერიკის საფონდო ბირჟის ინდექსებიდან შეგვიძლია გამოვყოთ სამი ყველაზე მთავარი საფონდო ინდექსი, როგორებიცაა: NYSE, AMEX, NASDAQ.

NYSE Composite index- ეს არის ინდიკატორი რომელიც ითვლის აქციების მონაცემებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე. NYSE Composite ინდექსი თავის თავში მოიცავს 1900 აქციის მონაცემებს, საიდანაც 1500 არის ამერიკული კომპანიების აქციები. აქედან გამომდინარე აღნიშნული ინდექსის ფართო სპექტრი იძლევა საშუალებას რომ იგი იყოს ბევრად ეფექტური ინდიკატორი ვიდრე ვიწრო სპექტრის სხვა ინდექსები. მოცემული ინდექსი, როგორც ზემოთ ვახსენე მოიცავს ყველა კოტირებულ აქციას რომლებიც ვაჭრობენ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე, ამერიკული აქციების გარდა იგი შეიცავს სხვა უცხოური კომპანიების აქციებსაც, ასევე მის რიცხში შედის უძრავი ქონების საინვესტიციო ფონდები, NYSE ინდექსში არ შედის დახურული ტიპის ფონდები. (NYSE Directory, 2020)

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ორი მთავარი ბენეფიტი, რომელიც ხდის აღნიშნულ ინდექსს პოპულარულ და სანდო ინდიკატორს. პირველი ისაა რომ აღნიშნული ინდექსში მოსახვედრათ კომპანიები უნდა პასუხობენ მკაცრ საბირჟო ლისტინგში მოხვედრის მოთხოვნებს და მეორე ის რომ მოცემული ინდექსი შეილება ითქვას ატარებს გლობალურ ხასიათს, რადგან მისი არაამერიკული კომპანიების რიცხვი თითქმის შეადგენს მესამედს მთლიანი კომპანიების რიცხვისა, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან მოცემულ ინდექსში.

ნიუ იორკის საფონდო ბირჟის მონაცემების თანახმად, მისი შემადგენელი ინდექსი პირველად იყო შექმნილი 1996 წელს. ხოლო 2003 წელს იგი კვლავ იქნა მიღებული

ახალი ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც მეტად შეესაბამება ამერიკის ფართოდ გამოყენებად ინდექსების მეთოდოლოგიას. ინდექსის გამოსთველად გამოიყენება, ბირჟაზე მყოფი აქციის ბოლოს დაფიქსირებული ფასი. ხოლო, მოცემული ინდექსის, ტექნიკურ მომსახურეობა, თავის თავში გულისხმობს მის მონიტორინგს კომპანიების კორექტირებას რომლებიც ემეატებიან ან გადიან ინდექსიდან. (NYSE, 2018)

მსხვლი ამერიკულ საფონდო ბირჟებზე საუბრისას ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ერთ-ერთი პოპულარული ამერიკული საფონდო ბირჟა American Stock Exchange, იგივე (AMEX). 2008 წელს ამერიკული საფონდო ბირჟა იგივე AMEX შეიძინა NYSE Euronext-მა, რომელმაც გააერთიანა იგი ევროპულ საფონდო ბირჟასთან Alternext-ის სახელწოდებით, რის შედეგადაც მას გადაერქვა სახელწოდება და NYSE Amex Equities ეწოდა. 2012 წელს აღნიშნული სახელწოდება შეიცვალა კიდევ ერთხელ და მას NYSE MKT LLC დაერქვა. ხოლო 2019 წლიდან მას NYSE American ეწოდება.

The NYSE Amex Composite index- ეს არის ინდექსი, რომელიც ფუნქციონირებს NYSE AMEX საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს აქციის საბაზრო კაპიტალიზაციის წონის მაჩვენებელს სწორედ ამიტომ თითოეული აქციის წონა დამოკიდებულია, მის ფასსზე და რაოდენობაზე. მოცემული ინდექსი შეიცავს დაახლოებით 200 ფასიანი ქაღალდის ფასს, რომლებითაც ვაჭორებნ მოცემულ საფონდო ბირჟაზე, სხვადასხვა ფაქტორების გამო აღნიშნული ფასიანი ქაღალდების რიცხვი არის ცვალებადი. ხოლო მოცემული ინდექსის კაპიტალიზაცია ვარირებს 1.2 მლნ დან 20მლრდ დოლარმდე, მოცემული დამოკიდებულია აქციის ღირებულებაზე. (MITCHEL, 2019)

NYSE Amex Composite ინდექსი ძირითადად შედგება ნანო, მიკრო და მცირე კაპიტალიზაციის მქონე კომპანიებისაგან რის გამოც იგი ძირითადად გამოიყენება იმის დასადგენად, თუ როგორი ზემოქმედება აქვს მცირე კომპანიების აქციის ფასის ცვლილებებს. აღნიშნული ინდექსის გამოყენება იქნება საინტერესო ისეთი ფინანსური მენეჯერებისა და ინვესტორებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მცირე კომპანიების საქმიანობით, რათა ნახონ თუ როგორი დინამიკა აქვს კონკრეტულ სეგმენტს.

მესამე ინდექსი, რომელიც საკმად პოპულარულია და ჩვენ შეგვიძლია იგი განვიხილოთ დოუ ჯონსისა და S&P ინდექსთან ერთად, არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი ამერიკული საფონდო ბაზრისა. ეს არის NASDAQ ინდექსი, ე.წ „ბირჟის გარე ბრუნვის ინდექსი“

NASDAQ იგივე „National Association of Securities Dealers Automated Quotation“, ამ გრძელი დასახელების მიღმა დგას მსოფლიოში პირველი აქციათა ელექტრონული ვაჭრობის ბირჟა, რომელიც დაარსდა აშშ-ში 1971 წლის 8 თებერვალს.


მოგეხსენებათ, ტრადიციულად არსებულ ბირჟებზე არ ხდებოდა ყველა აქციით ვაჭრობა და შესაბამისად არსებობდა ე.წ. „ბირჟის გარე ბრუნვა“. სწორედ იმისთვის რომ აღნიშნული აქციათა ეს ბრუნვა მოწესრიგებულიყო შეიქმნა NASDAQ-ის ბირჟა. იმ დროისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიები საკმაოდ განვითარებული იყო და ამიტომაც NASDAQ გახდა მსოფლიოში პირველი ელექტრონული საფონდო ბირჟა.

ბირჟის ფუნქციონირების დასაწყისიდანვე იგი ითვლის თავის ინდექსს NASDAQ Composite. აღნიშნული ინდექსის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 5000 კომპანიის მონაცემები, საიდანაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რომ მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა მოიცავს მაღალტექნოლოგიურ სფეროში მომუშავე კომპანიებს, რომლებიც ამავდროულად ავითარებენ პროგრამულ უზრუნველყოფას და კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე ბიოტექნოლოგისა და ტელეკომუნიკაციის სფეროებს. აღნიშნული კომპანიებს რიცხვს მიეკუთვნება ისეთი, ტექნოლოგიურ სფეროში მომუშავე გიგანტები, როგორებიცაა: Apple, Google, Microsoft, Oracle, Amazon და Intel. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას რომ მოცემული ინდექსი საკმაოდ მგრძობიარე ტექნოლოგიური სფეროს ცვლილებისადმი და კარგად ასახავს აღნიშნულ სექტორს.

NASDAQ Composite ინდექსი იყენებს საბაზრო კაპიტალიზაციის გამოთვლის მეთოდს, ინდექსის მნიშვნელობა ტოლია აქციის წონის საერთო ღირებულებისა გამრავლებული აქციის საბოლოოდ დაფიქსირებულ ფასზე, შემდგომ აღნიშნული ჯამი კორექტირდება სპეციალურ გამყოფზე გაყოფით. მოცემული ინდექსი ითვლება სავაჭრო დღის დასრულებამდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N4-ში მოცემულია 2020 წლის მარტის მონაცემები სადაც, პროპორციულად არის გაწერილი ინდექსში შემავალი ინდუსტრიების ხვედრითი წილი.

ცხრილი N4



წყარო: (Chen, Nasdaq Composite Index, 2019)

აღნიშნულ ცხრილში კარგად ჩანს თუ რამხელა წილი უკავია ტექნოლოგიურ სფეროში მომუშავე კომპანიებს, იგი თითქმის ინდექსის ნახევარს შეადგენს. სწორედ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას თუ რამდენად მგრძობიარეა NASDAQ Composite ინდექსი იმ ცვლილებებისადმი რომლებიც ტექნოლოგიურ სფეროში შეიძლება წარმოიშვას. მოცემული ინდექსის ინფორმაცია დაეხმარება ფინანსურ მენეჯრებს და ინვესტორებს რომლების მოღვაწეობენ ტექნოლოგიურ სფეროში მიიღონ სამომავლო გადაწყვეტილებები, შეიძლება ითქვას აღნიშნული ინდექსი მათთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ საბაზრო ინდიკატორს.

ევროპის საფონდო ბირჟის მსხვილი ინდექსები

საერთაშორისო საფონდო ბირჟის ინდექსებზე საუბრისას, ჩვენ არ შეგვიძლია ხაზი გავუსვათ მხოლოდ ამერიკულ საფონდო ბირჟის ინდექსებს, რა თქმა უნდა, მათი წვლილი ფინანსურ ბაზარზე საკმაოდ დიდია და მრავალი ფინანსური მენეჯერი და ინვესტორი იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს მათზე დაყრდნობით, მაგრამ არანაკლებ უმნიშვნელოა ევროპის ბაზრის გაცნობა და მათი ინდექსების გაგება.

ქვემოთ მოცემულია ევროპის სამი მსხვილი საფონდო ბირჟის ინდექსი, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: დიდი ბრიტანეთის საფონდო ინდექსი, გერმანიის საფონდო ინდექსი და საფრანგეთის საფონდო ინდექსი.

ინგლისის თავდაპირველ საფონდო ინდექსად გვევლინება FTSE 100, (Financial Times Shares Index). ინდექსის სახელწოდებაში ერთ-ერთი ავტორიტეტული ფინანსური გამომცემლობის “Financial Times”- ის სახელია გამოყენებული, რაც არა უბრალო შემთხვევითობა, რადგან აღნიშნული ფინანსური გამომცემლობის აგენტებმა 1935 წელს შექმნეს FTSE 100 ინდექსის პროტოტიპი FTSE 35.

FTSE ინდექსი ეს არის დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟის ინდექსი, რომელიც ემყარება 100 მსხვილი კომპანიის აქციის მონაცემებს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ FTSE ინდექსზე, ხშირად ვგულისხმობთ FTSE 100 ინდექსს, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ლონდონის საფონდო ბირჟის ყველაზე პოპულარულ ინდექსს. ამასთან ერთად ლონდონის საფონდო ბირჟაზე ითვლება FTSE 250, FTSE 350. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ FTSE 250 ინდექსში შედის ქართული საბანკო სერვისის კომპანია TBC Bank Group Plc., რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს ქართულ ბაზარზე.

FTSE საფონდო ინდექსის ფუნქციონირება იწყება 1984 წლის 3 იანვრიდან, როდესაც გამოსათვლელად იყენებდნენ 100 მსხვილი კორპორაციის მონაცემებს. ინდექსის მაშინდელი მაჩვენებელი 1000-ტოლი იყო ხოლო დღევანდელი მონაცემებიც მისი რიცხვი 6000-ზე მეტია. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისთვის აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთგვარ ბარომეტრს, რადგან არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ფინანსური ბაზრის ინდიკატორი. (FTSE 100, 2020)

აღნიშნული ინდექსი, გამოსათვლელად იყენებს კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელს, რის გამოც შეიძლება დავასკვნათ რომ მსხვილი კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის ცვლილებამ, შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს ინდექსის მაჩვენებელი. ფასების ცვლილება ითვლება რეალურ დროში, და როდესაც ვაჭრობა არის გახსნილი მოცემული ფასები ქვეყნდება ყოველ წამიერად. FTSE 100 ინდექსზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ მსოფლიო ეკონომიკის მოძრაობის ტენდენცია, რადგან აღნიშნულ ინდექსში შედიან ისეთი კომპანიები რომლებიც ორიენტირებულნი არიან გლობალურ ბაზარზე ვაჭორბით.

ინდექსის მაჩვენებელზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, იქნება ეს ეკონომიკური რყევები, პოლიტიკური მოვლენები, გაცვლითი კურსები თუ სხვა ევროპაში მომხდარი ცვლილებები.

ევროპის საფონდო ბირჟის ინდექსებზე საუბრისას, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდუსტრიულად ისეთი ძლიერი და წარმეტებული ქვეყნის ხსენებაც, როგორცაა გერმანია.

გერმანული საფონდო ბირჟის ინდექსი DAX 30 ძველი სახელწოდებით Deutscher Aktien Index X 30, შედგება 30 მსხვილი გერმანული კომპანიისგან, რომლებიც ვაჭრობენ ფრანკფურტის საფონდო ბირჟაზე. აღნიშნული ინდექსი გაეშვა 1987 წლის 30 დეკემბერს და მისი მნიშვნელობა იყო 1000, ხოლო მისი დღევანდელი მაჩვენებელი 12000 ზე მეტია.

DAX 30 გამოთვლა ხორციელდება 30 მსხვილი კომპანიის აქციების საერთო არითმეტიკული ღირებულების გამოთვლით ხოლო კაპიტალიზაცია ითვლება თავისუფალ ვაჭრობაში გაშვებული აქციების მიხედვით, ამასთან ერთად მოცემული ინდექსი ითვალისწინებს აქციის დივიდენდებს. (berg, 2020)

DAX 30 ინდექსი, რომელიც ითვლის 30 მსხვილი და აქტიურად მოღვაწე კომპანიის მონაცემებს, წარმოადგენს გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს. კომპანიები, რომლებიც DAX 30 –ის წევრები არიან, წარმოადგენენ ასევე გლობალურ კომპანიებსაც, რის შედეგადაც შეგვიძლია დავასკვნათ რომ არამხოლოდ გერმანიის ეკონომიკის, ასევე აღნიშნული ინდექსი მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. DAX 30- ში შემავალი კომპანიის წარმატება მრავალი ფაქტორით არის განპირობებული, რადგან აღნიშნული კომპანიების საფუძველზე, დღესდღეობით ჩვენ გვხდება ერთ-ერთი ეკონომიკურად მდგრადი და ძლიერი სახელმწიფო, როგორცაა გერმანია.

კომპანიები, რომლებიც შესულნი არიან DAX 30 ინდექსში, გამოირჩევიან წარმოების ფართო სპექტრით. მაგალითად: Bayer AG- წარმოადგენს ფარმაცევტულ კომპანიას რომელიც დაარსდა 1863 წელს, და დღესდღეობით საკმაოდ კარგად ფუნქციონირებს ბაზარზე. Allianz SE- არი ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, რომელიც ოპერირებს გლობალურ ბაზარზე, მის მომსახურების სფეროს წარმოადგენს დაზღვევა, ფინანსური კონსულტაციები და ა.შ. კიდევ ერთი მსხვილი და ყველასთვის ცნობილი კომპანია, რომელიც გამოიყენება DAX 30-ის დათვლისას არის Adidas AG, რომელიც ორიენტირებულია სპორტული ტანსაცმლის და ინვენტარის წარმოებასა და გაყიდვაზე. (Chen, DAX Stock Index, 2020)

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით, ჩვენ ნათლად შეგვიძლია ვნახოთ DAX 30-ის, როგორც საკმაოდ გავლენიან და სანდო ინდიკატორის, როლი გერმანიის და არა მარტო გერმანიის ეკონომიკისათვის. მოცემული ინდექსი შეიძლება ითქვას ატარებს

გლობალურ ხასიათს, რადგან მასში შემავალი კომპანიები წარმატებით ოპერირებენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ევროპის საფონდო ინდექსების კიდევ ერთ მსხვილ წევრს, წარმოადგენს საფრანგეთის საფონდო ინდექსი, CAC 40 ინდექსი.

CAC 40 ეს არი საფრანგეთის საფონდო ინდექსი, რომელიც გამოსთვლელად იყენებს, საფრანგეთის 40 მსხვილი კომპანიის მონაცემებს, Euronext Paris -ის საბაზრო კაპიტალიზაციის საფუძველზე.

CAC 40 იგივე “Cotation Assistee en Continuu” რაც ითარგმნება, როგორც უწყვეტი დამხმარე ვაჭრობა, წარმოადგენს საფრანგეთის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს, რომელიც ასევე კარგად ასახავს საფრანგეთის უმსხვილესი საფონდო ბირჟის Euronext Paris, ადრე ცნობილს როგორც პარისზის საფონდო ბირჟა, მიმართულების მაჩვენებელს.

CAC 40 ინდექსში წარმოადგენს ფრანგული საფონდო ბაზრის ინდექსის ეტალონს, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, აუცილებელი არა, ინდექსში მოსახვედრად მხოლოდ ფრანგული კომპანიების განხილვა, იმისთვის რომ იყო ჩართული მოცემულ ინდექსის გაანგარიშებაში მთავარია კომპანია ახორციელებდეს ვაჭორბას ევროში და იყოს ჩართული Euronext Paris საფონდო ბირჟაზე. 2003 წლიდან კომპანიების შერჩევა ხდება მათი საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვით, რაც თავის მხრივ გულისხმობს თავისუფალ მიმოქცევაში აქციების ღირებულების გათვალისწინებას. კიდევ ერთ საყურადღებო ფაქტორს წარმოადგენს ინდექსში შემავალი კომპანიის წონითი ღირებულება. მოცემული ინდექსი ზღუდავს 15% ზე მეტი წონითი ღირებულების კომპანიებს, რაც გულისხმობს იმას რომ კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს CAC 40 ინდექსის საერთო საბაზრო კაპიტალიზაციის 15%-ს, რაც თავის მხრივ არ ხდის აღნიშნული ინდექსის მონაცემებს, რომელიმე კომპანიის მონაცემებზე დამოკიდებულს. (CAC 40 Index France, 2020)

CAC 40 ინდექსის მონაწილეები ფართო სამუშაო სფეროებით გამოირჩევიან, მათ რიგებში ჩვენ გვხვდება როგორც, ნავთობპროდუქტების, საავიაციო, კოსმეტიკა და თავის მოვლის საშვალებების მწარმოებელი, ფარმაცევტული და სხვა მნიშვნელოვანი სფეროს წარმომადგენელი კომპანიები. აღნიშნული ფაქტორი ხაზს უსვამს მოცემული ინდექსის, როგორც საფრანგეთის ბაზრის და არა მარტო საფრანგეთის, ზუსტ ინდიკატორს. 2020 წლის მონაცემებით, მოცემულ ინდექსში ტოპ კომპანიებს წარმოადგენენ : LVHM, L’Oreal, Total, Sanofi, Airbus, Hermes და სხვა. (Top 40 companies of France in the CAC index 2019, 2019)

აზიის საფონდო ბირჟის მსხვილი ინდექსები

ჩვენ განვიხილეთ, ისეთი მსხვილი ბაზრების საფონდო ინდექსები, როგორც ამერიკისა და ევროპის საფონდო ბირჟის ინდექსები, აღნიშნულ ინდექსებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ არამხოლოდ კონკრეტული რეგიონის ინდიკატორები არამედ გლობალური ხასიათის ინდექსებიც. არანაკლებ მნიშვნელოვანი და მსხვილი ინდექსები გვხვდება აზიის საფონდო ბაზარზეც.

აზიის საფონდო ბაზრის ინდექსებიდან მნიშვნელოვან და მსხვილ საფონდო ბირჟის ინდექსებად შეგვიძლია ჩავთვალოთ: Nikkei 225, HangSeng და Shanghai Composite ინდექსები.

Nikkei 225 არის იაპონური საფონდო ბირჟის ყველაზე ცნობილი და მსხვილი ინდექსი, რომელიც შედგება 225 მსხვილი იაპონური კომპანიისგან. აღნიშნული ინდექსი მისი გამოთვლის წესით წარმოადგენს ჩვენთვის უკვე ცნობილ Dow Jones ის ეკვივალენტურ ინდექსს, მოცემული განპირობებულია მისი დათვლის მექანიზმით.

Nikkei 225 ინდექსი ადრე მოიხსენიებოდა, როგორც Nikkei Dow Jones Stock Average, როგორც ზემოთ უკვე ავლინებულ აღნიშნული განპირობებულია მისი დათვლის პრინციპით, მოცემული ინდექსის გამოსთვალელად იგი იყენებს 225 იაპონური აქციების ფასების საშუალოს, ჩვენთვის უკვე ცნობილი DJIA ინდექსის მსგავსად. მოცემული ინდექსის დღევანდელი სახელწოდება არის იაპონური ფინანსური ჟურნალის Nihon Keizai Shimbun, იაპონიაში ცნობილი როგორც Nikkei- საპატივცემულოდ, რადგან აღნიშნული ჟურნალის სპონსორობით ხდება მოცემული ინდექსის გამოთვლა.

მოცემული ინდექსის წარმოადგენს აზიის ყველაზე ძველ ინდექსს, მისი გამოთვლა 1950 წლიდან იწყება და მის რიგებში ჩვენ გვხვდება ისეთი გიგანტები როგორც: Sony Corporation, Toyota Motor Corporation, Cannon Incorporated და სხვა მსხვილი იაპონური კომპანიები.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღნიშნული ინდექსში წარმოადგენდა იაპონური ეკონომიკის რეაბილიტაციის და აღორძინების ერთ-ერთ დამხმარე ძალას. მოცემული ინდექსის გამოთვლის წესი, უმეტესი ინდექსებისგან განსხვავებით ხორციელდება აქციათა ფასების საშუალო შეწონილის მეთოდით. ხოლო მაჩვენებელი დაფიქსირებულია იაპონურ იენებში. Nikkei ინდექსის შემოადგენლობის გადახედვა ხორციელდება ყოველი წლის სექტემბრის თვეში, ხოლო ნებიესმიერი გადაუდებელი ცვლილება ხდება ოკტომბრის თვეში. (chen, 2020)

Nikkei 225 ინდექსის მნიშვნელობიდან და პოპულარობიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია მას ვუწოდოთ აზიის ერთ-ერთ წამყვანი ფინანსური ინდიკატორი, მრავალი ზემოთ ხსენებული ფაქტორი ხაზს უსვამს მის ცნობილობას და მნიშვნელობას.

აზიის საფონდო ინდექსებზე საუბრისას ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ერთი ინდექსის გამოყოფა. არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო ფინანსური ინდიკატორს წარმოადგენს ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟის HangSeng ინდექსი.

HangSeng ინდექსი ეს არის კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაციით შეწონილი ინდექსი, რომელიც გამოიანგარიშებს მსხვილი კომპანიების მონაცემებს, რომლებიც ვაჭრობენ ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟაზე. იგი ყოველდღიურად გამოითვლის 50 მსხვილი, ჰონგ-კონგის ბირჟაზე მოვაჭრე, კომპანიის მონაცემებს.

HangSeng Bankის მხარდაჭერით 1969 წლიდან ხორციელდება აღნიშნული ინდექსის გამოთვლა. მისი მოცულობიდან გამომდინარე იგი ითვლება ყველაზე მსხვილ ინდექსად ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟაზე. სწორედ აღნიშნულის გამო წარმოადგენს ყველაზე პოპულარულ ეკონომიკურ ინდიკატორს, რომელიც წარმოადგენს ჰონგ-კონგის ბირჟაზე ჩართული ინვესტორიბას მთავარ ორიენტირს

HangSeng ინდექსის მონაწილე კომპანიები, არიან სხვადასვა სფეროების წარმომადგენლები, ძირითადად განხილულია 4 მნიშვნელოვანი სფერო, როგორცა: ფინანსები, კომუნალური მომსახურეობა, კომერცია და უძრავი ქონებით ვაჭრობა. აღსანიშნავია ინდექსი შემავალი კომპანიების წილობრივი შეზღუდვის გათვალისწინება, რომელიც ითვალისწინებს 10%-იან ზედა ზღვარს, აღნიშნული შეზღუდვის მიზანია გამორიცხოს ერთი კომპანიის მონაცემების მკვეთრი ცვლილება მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე დამოკიდებული.

HangSeng ინდექსის კომიტეტი იკრიბება ყოველკვარტალურად, რათა მოახდინოს ინდექსში შემავალი კომპანიების შეფასება და გაანალიზება, მათი შემდგომში ინდექსში დატოვების ან გაცხრილვისთვის. (Hang Seng Index, 2019)

მოცემული ინდექსის მნიშვნელობიან გამომდინარე ინვესტორები და ფინანსური მენეჯერები ყოველდღიურად იყენებს ინდექსის მონაცემებს მათი შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. როგორც უკვე აღვნიშნე იგი წარმოადგენს ჰონგ-კონგის საფონდო ბირჟის მნიშვნელოვან ფინანსურ ინდიკატორს, მაგრამ ამასთან ერთად იგი არის აზიის ერთ-ერთი მსხვილი და სანდო ფინანსური მაჩვენებელი.

აზიის კიდევ ერთ ცნობილ და მნიშვნელოვან ინდექსს წარმოადგენს შანხაის საფონდო ბირჟის ინდექსი, იგივე SSE Composite Index.

The Shanghai Stock Exchange Composite ინდექსი წამოადგენს საბაზრო კაპიტალიზაციით შეწონილ ინდექსს, რომელიც გამოითვლის ყოველდღიურ დინამიკას A და B ტიპის აქციებისა, რომლებითაც ხდება შანხაის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა. ინდექსი შეიქმნა 1990 წლის 19 დეკემბერს, ხოლო მისი დათვლა ხორციელდება 1991 წლის 15 ივლისიდან.

SSE ინდექსი არის კარგი საშუალება ინვესტორებისთვის და ფინანსური მენეჯერებისთვის, რომ შეექმნათ წარმოდგენა შანხაის საფონდო ბირჟაზე მოვაჭრე კომპანიებზე.

2020 წლის მაისის მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ინდექსში შემავალი ინდუსტრიებიდან გამოირჩეოდა: ფინანსური 33.4%-ით, ინდუსტრიული წარმოება 16.1%, სამომხამრებლო ნივთები 10.7%-ით. რაც მიუთითებს აღნიშნულ ინდექსში ფინანსური სექტორის აკტიურობასა და მის მნიშვნელობაზე. (SSE Composite, 2020)

ჩინეთის 1.3 მილიარდიანი მოსახლეობისა და მისი მზარდი ეკონომიკური აკტივობის ფონზე იგი წარმოადგენს აზიის ერთ-ერთ მსხვილ ეკონომიკურ ძალას, შესაბამისად არანაკლებ მნიშვნელოვანია აზიის მსხვილ ინდექსებზე საუბრისას მოცემული ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი საფონდო ბირჟის ინდექსის გათვალისწინება.

თავი მეორე . სარეიტინგო სააგენტოები, როგორც ფინანსური ინდიკატორი

სარეიტინგო სააგენტოები, იგივე CRA (Credit Rating Agencies), არის კომპანიები, რომლებიც ანიჭებენ საკრედიტო რეიტინგებს სხვადასხვა სახის სავალო ვალდებულების ემიტენტებს, ისევე როგორც თვითონ სავალო ინსტრუმენტებს. ასევე ზოგჯერ ხდება ვალდებულების დაკავშირებული მომსახურების შეფასებაც.

ფასიანი ქაღალდის ემიტენტები არის კომერციული ორგანიზაციები , ცენტრალური მთავრობა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც უშვებენ სავალო ფაიან ქაღალდებს მაგალითად ობლიგაციებს, რომლებიც შემდგომ გაეშვებიან ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე. ხოლო მნიშვნელოვანია აღნიშნული ემიტენტების კრედიტუნარიანობის გაგება და შეფასება ასევე იმ ფაქტის გათვალისწინება რომლის მიხედვითაც მოხდა ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის დადგენა.

აღნიშნული რეიტინგები გამოიყენება ინვესტორების, ემიტენტების, საინვესტიციო ბანკების, ბროკერების, დილერებისა და მთავრობების მიერ, ინვესტორებისთვის მოცემული რეიტინგები ზრდიან ინვესტიციების ალტერნატივებს და ეხმარებიან მათ მოახდინონ რისკების სწორი გააზრება და მათი შეფასება.

სარეიტინგო კომპანიების უმეტესობა აგებულია ორი ტიპის ბიზნესის მოდელით. ბევრი სარეიტინგო კომპანია არის დაფუძნებული გამოწრაზე დამყარებული ბიზნეს მოდელით, რომელიც გულისხმობს სარეიტინგო კომპანიების შეფასებების მიწოდებას მხოლოდ იმ პირებზე რომლებიც სარგებლობენ აღნიშნული კომპანიების მომსახურებით, ანუ არიან გამომწერები აღნიშნული პუბლიკაციებისა. აღნიშნული გამოწერის საფასური წარმოადგენს სარეიტინგო კომპანიების ძირითად წყაროს. აღნიშნული ბიზნეს მოდელით დღესდღეობით სარგებლობენ მცირე ზომის სარეიტინგო კომპანიები , ხოლო საშუალო და მსხვილი სარეიტინგო კომპანიები საგებლობენ შემდეგი ბიზნეს მოდელით , რაც გულისხმობს გადასახადის აღებას თვითონ ემიტენტებისაგან და არა აღნიშნული სარეიტინგო კომპანიების მომხარებლებისგან, ასეთი ბიზნეს მოდელის მიხედვით მომხარებელთა გადახდებით მიღებული თანხა სარეიტინგო კომპანიების შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს, რადგან უმეტესად აღნიშნული რეიტინგები უფასოდ ვრცელდება.

საკრედიტო რეიტინგები, სავალო რეიტინგები და ობლიგაციების რეიტინგები, ეძლევათ სხვადასხვა კომპანიებს ასევე სხვა კლასის ფასიანი ქაღალდებს , როგორებიცაა პრივილეგირებული აქციები კორპორატიული ობლიგაციები და სხვადასხვა კლასის სახელმწიფო აქციები. რეიტინგები შეიძლება მიენიჭოს როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლე ვადიანი სახით. გრძელ ვადიანი რეიტინგები აანალიზებენ და აფასებენ ვალის შესაძლებლობას თუ როგორ უმკლავდება იგი აღებული ვალდებულებების

შესრულებას. მოკლე ვადიანი რეიტინგები აქვეყნებენ ფასიანი ქაღალდების ინფორმაციას იმის გათვალისწინებით თუ როგორი მდგომარეობა ქვეყნის ფინანსურ სექტორში.

მსოფლიოში არსებობს მრავალი სარეიტინგო კომპანია, მაგრამ ფინანსურ სამყაროში გამოყოფენ 3 ყველაზე მსხვილ სარეიტინგო კომპანიას, ესენია: Moody's, Standard & Poor's და Fitch, რომლებიც ფაქტობრივად მთელს სარეიტინგო კომპანიების ბაზარს აკონტროლებენ. ერთად ისინი ახორციელებენ მრავალი მომსახურების მიწოდებას, როგორც ინვოსტორებიშათვის ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის, ვისაც სურს კონკრეტული ინფორმაციის მიღება. აღნიშნული სააგენტოები მომხმარებლებს აწვდიან ზუსტ და უტყუარ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რისკებთან.

Fitch ratings

Fitch ratings შედის მსოფლიო სარეიტინგო სააგენტოების სამეულში. იგი მუშაობს ნიურკსა და ლონდონში, მისი საქმიანობა დაფუძნებულია ძირითადად კომპანიის სავალო რეიტინგებზე და კომპანიის საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ ცვილელეგების მგრძობელობაზე. Fitch რეიტინგს ასევე სარგებლობენ მსხვილი სახემწიფოებები რომლებიც სთხოვენ მას და სხვა სააგენტოებს შეაფასონ მათი ფინანსური მდგომარეობა, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლიმატის გათვალისწინებით.

1993 წლის 24 დეკემბერს, ჯონ ნოულს ფიჩმა დაარსა Fitch Ratings, როგორც Fitch Publishing company. კომპანია როგორც მდებარეობდა ნიურკში, თავდაპირველად იგი დაკავებული იყო ფინანსური სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებით, ხოლო 1924 წელს კომპანიამ პირველად შემოიღო ყველასთვის ცნობილი სარეიტინგო სისტემა "AAA"- დან „D“-მდე რათა დაეკმაყოფილებინა იმ დროისთვის ფასიანი ქაღალდების დამოიკიდებელი ანალიზის მზარდი მოთხოვნა. 1997 წლის დეკემბერში მოხდა ლონდონში არსებულ IBCA Limited-თან შერწყმა. როგორც ზემოთ უკვე ვახსენე აღნიშნულ კომპანიას აქვს ორი სათაო ოფისი რომლებიც მდებარეობს ნიურკსა და ლონდონში, ამასთან ერთად 50-ზე მეტი ოფისი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. Fitch Ratings წარმოადგენს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს, რომელიც ახდენს შედასებებს დამოუკიდებელი საკრედიტო მოსაზრებების, კვლევებისა და მონაცემების საფუძველზე. იგი ასევე წარმოადგენს Fitch Group-ის ნაწილს, რომელიც Fimilac. S.A. და Hearst Corp. ერთობლივი შვილობილი კომპანია.

Fitch's Rating ახორციელებს, როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელ ვადიანი საკრედიტო რეიტინგების დადგენას.

გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგებისათვის იგი იყენებს ყვეალსათვის ცნობილ ალაფეტურ სისტემას „AAA“ დან “D“-მდე. ქვემოთ მოცემულ შეფასების ცხრილში

მოკლედ არის აღწერილი თითოეული შეფასების მნიშვნელობა კომპანიისათვის. მოცემული ცხრილში მოცემულია გრძელვადიანი შეფასების მაჩვენებლები

ცხრილი N 5

შეფასება	კომენტარი
AAA	აღნიშნავს კომპანიის უმაღლეს ხარისხს, საიმედოობას და სტაბილურობას
AA	აღნიშნავს კომპანიის ძალიან მაღალ საიმედოობას და მინიმალურ რისკს
A	მოცემული შეფასება აღნიშნავს კომპანიის მაღალ საკრედიტო საიმედოობას, მცირე რისკების გათვალისწინებით გამოწვეული ეკონომიკური ცვლილებებით
BBB	აღნიშნულით ფასდება საშუალო კლასის კომპანიები, აღნიშნავს საიმედოობის კარგ დონეს, რაც მისაღბია ინვესტორებისთვის, ეკონომიკურმა ცვლილებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ კომპანიაზე
BB	აღნიშნავს საშუალოზე დაბალ საიმედოობას, მეტად მგრძობიარე ეკონომიკური ცვლილებებისადმი
B	აღნიშნული შეფასება გულისხმობს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მერყევია, რისკი აშკარაა, მაგრამ გარატია გარკვეულ დონეზე შენარჩუნებულია.
CCC	აღნიშნავს კომპანიაში მნიშვნელოვან საკრედიტო რისკს, ვალდებულების შეუსრულებლობის რეალურ შესაძლებლობას
CC	მოცემული აღნიშნავს ძალიან მაღალ საკრედიტო რისკს, ასევე ვალდებულებების შეუსრულებლობის მაღალ ალბათობას
C	აღნიშნავს განსაკუთრებით მაღალ საკრედიტო რისკს, ასევე მოცემული შეფასება აღნიშნავს გაკოტრების პირას მყოფ კომპანიას
D	მოცემული წარმოადენს გრძელვადიანი შეფასების ყველზე ცუდ მაჩვენებელს, რაც გულისხმობს კომპანიის ვალდებულებების

	შეუსრულებლობასა და უპასუხის.
--	------------------------------

ამასთან ერთად მოცემულ შეფასებისას გამოიყენება ე.წ მოდიფიკატორები „+“ და „-“, ნიშნით, რომლებიც თან ერთვის ძირითად კატეგორიებს და გვიჩვენებს მცირედ მოდიფიცირებულ შეფასების ვარიანტს, აღსანიშნავია ის ფაქტი რომ აღნიშნული მოდიფიკატორები არ გამოიყენება “AAA” შეფასებისას.

კომპანია რეკომენდაციას უწევს “BBB” და უფრო მაღალი შეფასების მქონე კომპანიებს რადგან აღნიშნული წარმოადგენს საიმედო და ძლიერი კომპანიების შეფასების მაჩვენებელს, ხოლო უფრო დაბალი რეიტინგის მქონე კომპანიებს იგი აღწერს როგორც ნაკლებად საიმედოსა და არარეკომენდირებულს.

რაც შეეხება მოკლევადიან საკრედიტო რეიტინგებს, მოცემული რეიტინგების დროს Fitch Rating იყენებს ანალოგიურად ალფაბეტურ აღნიშვნას მხოლოდ „F1“ დან „D“ მდე

ცხრილი N6

შეფასება	კომენტარი
F1	აღნიშნავს კომპანიის ძლიერ შესაძლებლობას, რომ დროულად დაფაროს ფინანსური ვალდებულებები
F2	მოცემული აღნიშნავს კარგ შესაძლებლობას ფინანსური ვალდებულებების დაფარვისთვის
F3	აღნიშნავს კომპანიის გადახდისუნარიანობის ნორმალურ დონეს
B	მოცემული აღნიშნავს სპეკულაციურ კატეგორიას, გადახდისუნარიანობის მინიმალურ დონეს
C	აღნიშნული შეფასება ხაზს უსვავს გადაუხდელობის რისკის რეალურ არსებობას
D	აშკარად გვიჩვენებს ორგანიზაციის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას.

წყარო: [\(FitchRatings, 2020\)](#)

Fitch Ratings, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნე წარმოადგენს მსოფლიო სარეიტინგო ბაზრის ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშეს, რომლის მონაცემებსა და შეფასებებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა კომპანიებისა და არამართო კომპანიების რეიტინგების გაგება და გადახდისუნარიანობის დონის განსაზღვრა, რაც თავის მხრივ ეხმარება ფინანსურ მენეჯერებსა და ინვესტორებს გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებასა და მიღებაში.

Moody's Investors Service

Moody's ანიჭებს რეიტინგებს ქვეყნებსა და კომპანიებს მათი დავალიანების მიხედვით, მაგრამ ამისთვის იგი იყენებს განსხვავებულ ხერხს. საინვესტიციო დონის დავალიანება გადაიზრდება AAA ყველაზე მაღალი დონიდან Baa3 დონემდე, რაც მიუთითებს მოვალის შესაძლებლობას დაფაროს დავალიანება, შედარებით ნაკლები დონის დავალიანებას ეწოდება სპეკულაციური დონის რაც მერყეობს Ba1 დან C მდე, აღნიშნულის შემთხვევაში ვალის დაფარვის ალბათობა იკლებს მინიჭებულ რეიტინგთან ერთად.

John Moody and Company-იმ პირველად გამოაქვეყნა „Moody's Manual“ 1900 წელს. აღნიშნულში იყო გამოქვეყნებული სტატისტიკურ მონაცემები და საერთო სტატისტიკური მაჩვენებლები, ამასთან ერთად ქვეყნებოდა მონაცემები აქციებთან და ობლიგაციებთან დაკავშირებით. 1903-1907 წლებში საფონდო ბირჟის კრიზისის პერიოდში “Moody's Manual” წარმოადგენდა ნაციონალურ გამომცემლობას. 1909 წელს ჯონ მუდის მიერ დაარსდა Moody's Investor Service, რათა ეწარმოებინა სტატისტიკური სახელმძღვანელოები და რეიტინგები აქციებისა და ობლიგაციების შესახებ.

დღესდღეობით Moody's Investor Service ადგენს საკრედიტო რეიტინგებს, ატარებს კვლევებს და რისკის ანალიზს. იგი ახორციელებს საკრედიტო რეიტინგების განალიზებას 110 ქვეყანაში, 11000 ემიტენტ კომპანიაში და სხვადასხვა ორგანიზაციებში. აღნიშნული კომპანია აფასებს მსესხებლის კრედიტუნარიანობას სტანდარტული სარეიტინგო სისტემის გამოყენებით, რომელიც ზომავს ინვესტორის მოსალოდნელ ზარალს გადაუხდელობის შემთხვევაში. Moody's Investor Service სისტემა ახდენს ფასიანი ქაღალდების შეფასებას ალფაბეტური სისტემით AAA-დან C-მდე, სადაც AAA წარმოადგენს მაღალ მაჩვენებელს და იგი შესაბამისად მცირდება C-მდე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ალფაბეტური შეფასების სისტემა მასთან მინიჭებული კომენტარებით

ცხრილი N7

შეფასება	კომენტარი
Aaa	საუკეთესო ხარისხი და ყველაზე დაბალი საკრედიტო რისკი
Aa	მაღალი ხარისხი და საკმაოდ დაბალი საკრედიტო რისკი
A	საშუალოზე მაღალი დონე, დაბალი საკრედიტო რისკი.
Baa	საშუალო დონე, ზომიერი საკრედიტო რისკი, შესაძლოა ატარებდეს გარკვეულ სპეკულაციურ ხასიათს.

Ba	აღნიშნული ითვლება სპეკულაციურ ობლიგაციებად და გააჩნია არსებითი საკრედიტო რისკი.
B	ითვლება სპეკულაციურ ობლიგაციებად და გააჩნია მაღალი საკრედიტო რისკი.
Caa	მოცემული წარმოადგენს დაბალი საიმედოობის და ძალიან მაღალი საკრედიტო რისკის მქონე ობლიგაციებს.
Ca	აღნიშნული მიჩნეულია სარისკოდ, დასაშვებია გადაუხდელობა.
C	ყველაზე დაბალი დონის ობლიგაციები, სავარაუდოდ არ მოხდება მათზე გადახდა.

აღნიშნულ შეფასებასან ერთად Moody's იყენებს მოდიფიკატორებს რიცხობრივი სახით 1,2 და 3, რომლებიც მიენიჭება ძირითადად Aa დან დაწყებული Caa-ს კლასის შეფასებებს. მოდიფიკატორი „1“ აღნიშნავს რომ შეფასებული ობლიგაცია ძირითად მაჩვენებელზე უფრო მაღალი კატეგორისაა, შესაბამისად „2“ გულისხმობს საშუალო დონეს და „3“ მიუთითებს მაჩვენებლის დაბალ დონეს.

ამასთან ერთად Moody's Investor service ახორციელებს მოკლევადიანი რეტინგების მნიჭებას, აღნიშნულ იგი აკეთებს ობლიგაციების ოთხად დაყოფის გზით. დაყოფა ხდება Prime1 დან Not Prime-მდე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აღნიშნული შეფასების მოდელი.

ცხრილი N8

შეფასება	კატეგორია	კომენტარი
Aaa	Prime1	ემიტენტს აქვს მოკლევადიანი სავალო ვალდებულების დაფარვის უმაღლესი შესაძლებლობა
Aa1		
Aa2		
Aa3		
A1		
A2	Prime2	ემიტენტს აქვს მოკლევადიანი სავალო ვალდებულების დაფარვის ძლიერი შესაძლებლობა
A3		

Baa1		
Baa2		ემიტენტს აქვს ვალის დაფარვის შესაძლებლობა, დაფარვის მოკლევადიანი სავალო ვალდებულება მისაღებია.
Baa3	Prime3	
Ba1		ემიტენს არ აქვს ვალის დაფარვის შესაძლებლობა
Ba2		
Ba3		
B1	NotPrime	
B2		
B3		
Caa1		
Caa2		
Caa3		
Ca		
C		

წყარო: (Moody's, 2020)

Moody's Investor Service წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ზუსტ ინდიკატორს, რომლის მონაცემებზე დაყრდნობით ინვესტორებს შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება, როგორც ზემოთ უკვე ავლინებოდა იგი ანიჭებს რეიტინგებს რისკების შეფასების საფუძველზე თუ როგორ შესაძლებლობა აქვთ გადამხდელს დაკისრებული ვალდებულებების დასაფარად. ამასთან ერთად იგი არის ერთ-ერთი უმსხვილესი სარეიტინგო კომპანია რომელც ფუნქციონირებს ბაზარზე და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ინდიკატორის ამჟღავნებაში.

Standard&Poor's

1860 წელს ჰენრი ფუარმა გამოქვეყნება დაიწყო წლიური ანგარიშებისა რკინიგზის ფინანსური და ოპერაციული მდგომარეობის შესახებ, აღნიშნულ პუბლიკაციებს ერქვა „History of Railroads and Canals in the United States“, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა ფასიანი ქაღალდების ანალიზისა და ანგარიშების წინამორბედს რომელიც განვითარდა შემდეგ საუკუნეში. 1906 წელს ლუთერ ლი ბლეიქის მიერ დაარსდა Standard Statistics Bureau, რათა მიეწოდებინა ფინანსური ინფორმაცია არა სარკინიგზო კომპანიების შესახებ.

1941 წელს კი ზემოთ აღნიშნული ორი კომპანია გაერთიანდა და ჩამოაყალიბა Standard&Poor's Corp. ხოლო 1966 წელს აღნიშნული კომპანია შეიძინა The McGraw-Hill Companies-მა და დღესდღეობი ეწევიან ფინანსურ მომსახურებას. Standard&Poor's ის სათავო ოფისი განთავსებულია ნიუ-იორკში, მაგრამ აღნიშნულს აქვს ოფისები მსოფლიოს 23 ქვეყანაში. (Naciri, 2019)

S&P საერთო მდგომარეობით აქვს 17 რეიტინგი, რომლები მას შეუძლია მიაწიოს როგორც კორპორატიულ ასევე სუვერენულ ვალდებულებებს. ნებისმიერი რეიტინგი რომელიც იმყოფება AAA დან BBB მდე ითვლება საინვესტიციო რეიტინგად რაც თავის მხრივ გულსიხმობს იმას რომ აღნიშნული რეიტინგის მფლობელს შეუძლია ვალის დაბრუნება რაიმე პრობლემებისა და გართულებების გარეშე. BB+ დან D მდე მყოფი რეიტინგები ითვლება სპეკულაციურებად, რაც ხაზს უსვამს მათ ბუნდოვან სამომავლო მოქმედებებს. რაც შეეხება ქვედა ნიშნულებს ისინი შესაბამისად ითვლებიან გადახდისუუნარობად.

Standard&Poor's გამოყავს, როგორც მოკლე ისე გრძელვადიანი საკრედიტო რეინგები. აღნიშნული კომპანია, როგორც უკვე ზემოთ ვახსენე აფასებს მათ AAA დან D მდე, ამასთან ერთად არსებობს შუალედური კატეგორიებიც რომლებსაც ემათებათ «+» და „-“, ნიშნულები, რომლებიც გამოიყენება AA დან დაწყებული CCC დონის ჩათვლით. ამასთან ერთად ზოგიერთი მსხესხებლისთვის კომპანია გვთავაზობს ე.წ. „საკრედიტო დაკვირვების“ მაჩვენებელს, რაც თავის მხრივ გულსიხმობს რომ მოცემული ობიექტი შესაძლოა რეიტინგში გაიზარდოს ან შემცირდეს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს გრძელვადიანი საერეიტინგო შეფასების მაჩვენებლები შესაბამის განმსაზღვრელ კომენტარებთან ერთად. (S&P Global, 2020)

ცხრილი N9

შეფასება	კომენტარი
AAA	მოცემული შეფასება წარმოადგენს S&P ის უმაღლეს რეიტინგს. აღნიშნულ კატეგორიაში მოხვედრილი კრედიტორის გადახდისუნარიანობა და საიმედოობა ძალიან მაღალია.
AA	მოცემული კატეგორია მცირედით ჩამოუვარდება უმაღლეს მაჩვენებელს . კრედიტორს ახასიათებს ძლიერი კრედიტუნარიანობა მაგრამ არსებობს მცირედი ჩავარდნები.
A	აღნიშნული, რეტიგნი გულისხმობს კრედიტორის გარკვეულწილად მეტად მგრძობიარობას ეკონომიკური უარყოფითი ცვლილებების მიმართ, ვიდრე ზემოთ ხსენებული კატეგორიები. კრედიტუნარიანობა კვლავ მაღალია.
BBB	აღნიშნული კატეგორია მეტად მგრძობიარეა უარყოფითი ეკონომიკური გარემოს მიმართ, არსებობს მცირედი ალბათობა იმისა რომ აღნიშნულმა უარყოფითმა გარემომ შესაძლოა შეასუსტოს გადახდისუნარიანობა.
BB	ზემოთ ხსნებულ დონესთან შედარებით ნაკლებად საიმედო და მდგრადი მდგომარეობის კრედიტორი.
B	აღნიშნული ითველბა მეტად სპეკულაციურ დონეთ. უარყოფითი ცვლილებები ბიზსნეში ფინანსური და ეკონომიკური გარემოს გაუარესება, მეტად მოსალოდნელია რომ ეს ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კრედიტუნარიანობაზე.
CCC	მოცემული ითველბა მნიშვნელოვნად არა მდგრად და მაღალ რისკის დონედ.
CC	წარმოადგენს საკმაოდ მაღალი რისკის დონეს.
C	აღნიშნუნავს ყველაზე დაბალი დონის შეფასებას. დასაშვებია ემიტენტის გაკოტრება.

D	გადახდები სავარაუდოდ არ იწარმოება.
NR	აღნიშნული გულსიმბობს იმას რომ არ მომხდარა შეფასება, ან არ არსებობს მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაფასებლად.

BB, B, CCC, CC, და C კატეგორიები, როგორც ზემოთ უკვე ვახსენე ასევე ნათლად ჩანს ცხრილშიც რომ, მიჩნეულია როგორც მნიშვნელოვანი სპეკულაციური ხასიათის რეიტინგები. შესაბამისად რისკის შემცირების მიზნით მათი შექმნა არ არის რეკომენდირებული.

ამასთან ერთად S&P აქვს მოკლევადიანი რეიტინგები, რომლის შედგენისას უმაღლეს კატეგორიას წარმოადგენს “A-1”, რაც გულისხმობს ფინანსური მდგრადობის საკმაოდ მაღალ დონეს. აღნიშნულ კატეგორიას ასევე შესაძლოა მიემატოს «+» ნიშანი რაც დამატებით ხაზს უსვამს კრედიტორის სიძლიერესა და გადახდისუნარიანობას. ხოლო მოცემულ მოკლევადიან რეიტინგში ყველაზე დაბალ შეფასებებში დონეს აღნიშნავს “D” შეფასება, რაც თავის მხრივ გულისხმობს რომ კრედიტორი არ ახორციელებს გადახდებს, და იგი ფაქტობრივად გაკოტრებულია. ქვემოთ მოცემულ ცხრილში დეტალურად არის გაწერილი მოკლევადიანი სარეიტინგო შეფასებების მაჩვენებლები მათთან დაკავშირებულ კომენტარებთან. (S&P Global, 2020)

ცხრილი N10

შეფასება	კომენტარი
A-1	აღნიშნავს ფინანსურ მდგრადობის საკმაოდ მაღალ დონეს.
A-2	აღნიშნული დონე შედარებით მეტად ექვემდებარება ეკონომიკურ ცვლილებებს ვიდრე წინამორბედი დონე, ტუმცა კრედიტუნარიანობა განსაკუთრებით მაღალია
A-3	აღნიშნული დონე გივჩვენებს რომ კრედიტორს გააჩნია ადეკვატური დაცვითი პარამეტრები, მაგრამ მოსალოდნელია რომ ეკონომიკური გარემოს გაუარესებამ შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს გადახდისუნარიანობაზე.
B	აღნიშნული დონის ობლიგაციები სპეკულაციური ხასიათის მატარებლად ითვლება.
B-1	აქვს მნიშვნელოვანი სპეკულაციური

	ხასიათი, ამასთანავე გააჩნია კრედიტუნარიანობა რომ დააკმაყოფილოს მოკლევადინაი ვალდებულებები.
B-2	აღნიშნული წამორადგენს წინა დონესთან შედარებით უმფრო რისკის შემცველ ობლიგაციებს.
B-3	აღნიშნულ კატეგორიაში მოფ ობლიგაციებს შორის ითვლება ყველაზე სპეკულაციურად.
C	აღნიშნული არის ყველაზე დაუცველი გადაუხდელობის მხრივ, იგი დამოკიდებულია ეკონომიკურად დადებით გარემოზე რომ შეძლოს დავალიანების დაფარვა.
D	აღნიშნული წარმოადგენს ყველზე დაბალ დონეს. გულისხმობს იმას რომ გადახდა არ განხორციელბეულა, აღნიშნულ კატეგორიაში მოხვდერილ კომპანიებს ასევე აღძრულია გაკოტრების საქმე.

ზემოთ ხსენებულ სარეიტინგო კომპანიების მსგავსად Standard&Poor's ორიენტირებულია კომპანიების გამჭვირვალე და ზუსტ შეფასებაზე, რადგან აღნიშნული შეფასების მოდელი ეხმარება ბევრ ინვესტორსა თუ ფინანსურ მენეჯერს გადააფასონ საინვესტიციოდ გამოყოფილი თანხები და დამატებითი ანალიზის საფუძველზე მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო კომპანიები გამოირჩევიან დიდი საიმედოობით, ვინაიდან აღნიშნული ბაზრის 90%-ზე მეტი უჭირავს სწორად ზემოთ ხსენებულ სარეიტინგო კომპანიებს, რაც რა თქმა უნდა ხაზს უსვამს მათ პოპულარობას საიმედოსა და ზუსტ შეფასებაში.

თავი მესამე. საქართველოს საფონდო ბირჟა და მისი ინდექსები

საფონდო ბირჟა, ეს არის ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ ფასიან ქალაქებზე ვაჭრობას და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას. დადგენილი პროცედურებისა და წესების შესაბამისად, იგი ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინფორმაციას. საფონდო ბირჟა წარმოადგენს საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტს, შესაბამისად იგი ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას, ფასიანი ქალაქების საჯარო განთავსებისა და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით.

საფონდო ბირჟები მრავალი საუკუნოვანი ისტორიის მატარებლები არიან, თავდაპირველად იგი წარმოიქმნა მე-12 საუკუნეში საფრანგეთში, სწორედ ისინი ითვლებიან პირველ ბროკერებად. მე-13 საუკუნეში ვენეციელმა ბანკირებმა დაიწყეს სახელმწიფოს ფასიანი ქალაქებით ვაჭრობა, მომდევნო საუკუნიდან კი მათ იტალიის სხვა ქალაქების ბანკირები შეუერთდნენ. მათ ეს შესაძლებლობა იმიტომ ჰქონდათ რომ ამ დამოუკიდებელ ქალაქებს არა ჰქონდათ ვაჭრობის, არამედ გავლენიანი მოქალაქეების საბჭო მართავდა. იტალიური კომპანიები იყვნენ პირველები, ვინც აქციები გამოუშვა, ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ სხვა ქვეყნები, მაგალითად ინგლისმა პირველად აქციების გამოშვება მე-16 საუკუნიდან დაიწყო.

დღესდღეობით მსოფლიოში ფუნქციონირებს 200-მდე საფონდო ბირჟა, მათ შორის უმსხვილესები წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ინდიკატორებსა და რეგულატორებს. მათი სახეობების წარმოშობა განპირობებულია განვითარებული და ფორმულირებული სავაჭო-სამომხმარებლო და ინდუსტრიული სტრუქტურით. შესაბამისად ისეთ ქვეყნებში სადაც მაღალია განვითარების დონე, ფუნქციონირებენ ყველაზე მსხვილი და ცნობილი საფონდო ბირჟები. მაგალითად ამერიკულ შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა „New York Stock Exchange“, იგივე “NYSE”, მას ასევე ვოლ სტრიტის სახელითაც ვიცნობთ. იგი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ მსხვილ საფონდო ბირჟას და შესაბამისად ითვლება ამერიკის ფინანსური სიძლიერის და მთელი ფინანსური ინდუსტრიის სიმბოლოდ. სწორედ აღნიშნულ საფონდო ბირჟაზე, სხვადასხვა მოვაჭრე მსხვილი კომპანიების აქციების მაჩვენებლების მიხედვით, იანეგარიშება ერთ-ერთი, ჩვენთვის უკვე ცნობილი დოუ ჯონსის “Dow Jones Industrial Average” იგივე DJIA და NYSE Composite ინდექსები.

ამერიკულ საფონდო ბირჟებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია დიდი ბრიტანეთის საფონდო ბირჟა „London Stock Exchange“, რომელიც წარმოადგენს ბრიტანეთის ყველაზე ინტერნაციონალურ საფონდო ბირჟას, ასევე იგი არის ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო ფინანსური ცენტრი.

საფონდო ბირჟა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს კბილანას ეკონომიკის მამოძრავებელ ბორბალში, რომელიც ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ეკონომიკის

ზრდისთვის, რაც განსაკუთრების მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ბაზრისთვის. განვითარებადმა ევროპულმა ქვეყნებმა დიდი პროგრესი განიცადეს საფონდო ბაზრის განვითარების კუთხით 1990 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდიდან დაიწყო ეს პროცესები, განვითარების სიხშირე არათანაზომიერი იყო სხვადასხვა ქვეყნებსა და სეგმენტებში. სხვადასხვა ხარისხის პროგრესს განიცდიდა მთავარი საკითხები როგორებიცაა, ფასწარმოქმნა და რეგულაციები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს და ძირითადი ინვესტირების ბაზის გაფართოებას და განვითარებას, ასევე უზრუნველყოფდა ადეკვატური სავაჭრო ინფრასტრუქტურის შექმნას.

საქართველოს საფონდო ბირჟა

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს ერთადერთი მოქმედი საფონდო ბირჟა სს“ საქართველოს საფონდო ბირჟა“, რომელიც დაფუძნდა 1999 წელს, წამყვანი კომერციული ბანკების, საბროკერო და სადაზღვეო კომპანიების, ასევე საინვესტიციო ფონდების ინიციატივით.

„საქართველოს საფონდო ბირჟის“ იგივე „სსბ“-ს წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით. ხოლო 2000 წლის 14 იანვრს განხორციელდა „სსბ“-ს ლიცენზირება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს მიერ, და ასევე მას მიენიჭა საქართველოს პირველად თვითგანვითარებადი ორგანიზაციის სტატუსი.

2000წლის 23 მარტიტად, „სსბ“-ზე საბირჟო ვაჭრობა რეგულარულად მიმდინარეობს, ხოლო 2000 წლის 15 სექტემბრიდან იგი ხდება ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის ნამდვილი წევრი. შემდგომ 2010 წლიდან, „სსბ“-ზე სავაჭროდ დაშვებული 10 კომპანიის ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციის საფუძველზე, ინაგარიშება საქართველოს საფონდო GSX ინდექსი, რომელზეც ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ახდენს სამი უწყება, ესენია: ფინანსთა სამინისტრო, ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ინსპექცია, სახელმწიფო საწარმოს მართვის სააგენტო და ეროვნული ბანკი.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით, ესენია: დროებითი დებულება საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის და საფონდო ბირჟების შესახებ; კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონი მეწარმეთა შესახებ; კანონი ჩეკის შესახებ; კანონი თამასუქის შესახებ; დებულება საინვესტიციო ფონდების შესახებ.

საქართველოს საფონდო ბირჟის ოფიციალური ვებ-გვერდის თანახმად: (საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) არის ერთადერთი მოქმედი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც USAID- ის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა და ფუნქციონირებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. სსბ აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის ყველა საბაზისო მოთხოვნას. ჩვენ ვთავაზობთ ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოელ ინვესტორებს.

სსბ-ის ელექტორნული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭო დარბაზში, ასევე საბროკერო კომპანიათა ოფისებში- დისტანციური წვდომის ტერმინალების დახმარებით.

2020 წლის 1 ივლისი მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 28 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა

0.598 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღურმა ბრუნვამ 2020 წლის მაისის თვეში- 173 ლარი)_(სსბ-ს შესახებ, 2020)

ზემოთ ხსენებული ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ საქართველოს საფონდო ბირჟა არის მოქმედი საინვესტიციო ბაზარი, მაგრამ მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ აკტივობაში არის საკმაოდ მცირე.

ეს იმ ფონზე, როდესაც განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში კაპიტალის ბაზარი წარმოადგენს უმნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს დამზოგველებსა და მხარჯველებს შორის. ამასთანავე იგი წარმოადგენს დანაზოგების მობილიზების და მათი მომგებიანი საინვესტიციო პროექტებში ინვესტირების მთავარ წყაროს, რაც თავის მხრივ აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

ხოლო რაც შეეხება საქართველოს მაგალითს, სადაც კაპიტალზე ხელმისაწვდომობა შედარებით შეზღუდულია გამართულად ფუნქციონირებადი და განვითარებული კაპიტალის ბაზრის არარსებობა კიდევ უფრო აფერხებს კაპიტალის ფორმირებისა და ეკონომიკური აქტივობის პროცესს. ამასთან ერთად საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას არ აქვს დიდი დანაზოგების გაკეთების საშუალება, ხოლო კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონის პირობებში მათ არც დანაზოგის სტიმული აქვთ, და ვინც მაინც ახერხებს სახსრების დანაზოგვას, ისინი აღნიშნულ სახსრებს მიმართავენ უძრავი ქონების, ძვირფასი ლითონისა და სხვა შედარებით დაბალპროდუქტიულ ინვესტიციებში, რაც თავის მხრივ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და გაზრდას.

საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი

საქართველოში საფონდო ბირჟა ორ ათეულ წელიწადზე მეტია რაც არსებობს, შესაბამისად მან განვლო საკმაოდ დიდი და წარმატებული გზა რომ ყოფილიყო ისეთი როგორც დღეს არის. როგორც ზემოთ უკვე ავლნიშნე იგი ატარებს თვითგანვითარებადი ორგანიზაციის სტატუსს, ასევე აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საერთაშორისოდ დამკვიდრებული პრაქტიკის ყველა საბაზისო მოთხოვნას. ამასთან ერთად აღსანიშნავია საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსის არსებობა, რომელიც 2010 წლიდან ფუნქციონირებს ქართულ საინვესტიციო ბაზარზე.

ინდექსის პორტფელი იგივე ინდექსის ბაზა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ნუსხას, რომლის მეშვეობითაც იანგარიშება GSX ინდექსი. აღნიშნულ ბაზაში უმეტეს წილად შედის სავაჭრო სისტემის ლისტინგში არსებული ფასიანი ქაღალდები, ხოლო აღნიშნული ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დამატების ან გამოკლების საკითხს წყვეტს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.

ინდექსის გასაანგარიშებლად საჭიროა ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციის წილის დადგენა, აღნიშნული გულისხმობს სიდიდეს რომელიც წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების მიმდინარე ფასისი ნამრავლს ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვებულ და ასევე განთავსებულ რაოდენობაზე.

ქვემოთ მოცემულ ფორმულაში ნათლად ჩანს თუ როგორ გამოითვლება ინდექსის პროტფელში შემავალი ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციის წილი:

ფორმულა N1

$$W_{t,i} = \frac{P_{t,i} \times V_{t,i}}{MC_t} = \frac{MC_{t,i}}{MC_t}$$

$V_{t,i}$ - არის i -ური ფასიანი ქაღალდების გამოშვებული და განთავსებული მოცულობა მიმდინარე (t) თარიღისთვის;

$P_{t,i}$ -არის i -ური ფასიანი ქაღალდების მიმდინარე (საბაზრო) ფასი ლარში (t) თარიღისთვის;

$MC_{t,i}$ - წარმოადგენს i -ური ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციის მნიშვნელობას მიმდინარე (t) თარიღისთვის;

MC_t - წარმოადგენს ბაზაში შემავალი ფასიანი ქაღალდების კორექტირებულ საბაზრო კაპიტალიზაციათა ჯამი მიმდინარე (t) თარიღისთვის.

აღნიშნული ფორმულების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ მოცემული კაპიტალიზაციის წილი ანალოგიურად იანგარიშება სხვა საერთაშორისო ინდექსების გამოთვლისას, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს GSX ინდექსის სისწორეს და სანდოობას.

GSX ინდექსის გაანგარიშება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში(ლარში), საანგარიშო თარიღისთვის საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი განისაზღვრება როგორც მომცემულ ინდექსში ჩართული ფასიანი ქაღალდების ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციისა და საწყისი თარიღისთვის ამავე ფასიანი ქაღალდების ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციის "MC₀" შეფარდება, გამრავლებული ინდექსის მნიშვნელობაზე საწყისი თარიღისთვის I₀:

ფორმულა N2

$$I_t = I_0 \times \frac{MC_t}{MC_0}$$

სადაც MC_t წამოადგენს ფასიანი ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაციათა ჯამი მიმდინარე (t) თარიღისთვის:

ფორმულა N3

$$MC_t = \sum_t^N MC_{t,i}$$

მოცემულ ფორმულაში:

MC_{t,i}- არის (i)- ური ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციის მნიშვნელობა;

N- წარმოადგენს ინდექსის პორტფელში ჩართული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას ამასთან ერთად ინდექსის გასაანგარიშებლად გამოიყენება ინდექსის მაკორექტირებელი მნიშვნელობა (divisor) იგივე გამყოფი, რომლი გამოყენებით ფორმულა N2 იღებს შემდეგ სახეს და გამოიყურება შემდეგნაირად:

ფორმულა N4

$$I_t = \frac{MC_t}{divisor}$$

ხოლო აღნიშნულ ფორმულის მიხედვით მაკორექტირებელი გამყოფის გამოთვლა საკმოდ მარტივდება და მისი მნიშვნელობა უდრის ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციის მნიშვნელობა "MC_t"გამყოფილი ინდექსის მნიშვნელობაზე I_t

აღნიშნული მაკორექტირებელი გამყოფი ჩვენ გვხდება სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსის გამოთვლისას რაც თავის მხრივ კვლავ ხაზს უსვამს იმას თუ რამდენად არის მიახლოვებული GSX ინდექსის გამოთვლის ტექნიკა საერთაშორისოდ აღიარებულ გამოთვლის წესებთან.

ამასთან ერთად აღსანიშნავია პარამეტრები რომლებიც გამოიყენება ინდექსის გასაანგარიშებლად. ინდექსის პორტფელში უნდა ფიქსირდებოდეს შემავალი ყოველი ფასიანი ქაღალდის საწყისი საბაზრო ფასი და ბრუნვაში გამოშვებული მთლიანად

განთავსებული აქციების რაოდენობა, ასევე ინდექსში შემავალი ყველა ფასიანი ქაღალდის ფასთა ცვალებადობის პირობითი დერეფანი, ინდექსის ბაზაში არსებული ყოველი აქციისთვის საანგარიშო დროის პერიოდი, ამასთან ერთად გარიგებებისა და განცხადებების ხვედრითი წონები ფასიანი ქაღალდის საბაზრო ფასის გაანგარიშებისას, საბირჟო გარიგებების, ფიქსინგის და განცხადების საუკეთესო ფასები და სხვა მონაცემები.

ზემოთ მოყვანილი პარამეტრები მტკიცდება ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ, ხოლო ინდექსის გაანგარიშება და გამოქვეყნება ხდება ყოველი კალენდარული დღისთვის სავაჭრო დღის ბოლოს. (საქართველოს საფონდო ინდექსის GSX განსაზღვრის წესი, 2017)

საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი, მოცემულ ნაშრომში განხილული ინდექსების მსგავსად ასახავს ინდექსის ბაზაში არსებული კომპანიების აქციების ღირებულებას. მაგრამ ჩვენ ვერ გავუტოლებთ მოცემული ინდექსის მნიშვნელობას და პოპულარობას საერთაშორისო ინდექსებს, რადგან აღნიშნული ინდექსის არსებობა საკმაოდ მცირე დროს ითვლის, ამასთან ერთად ქართული საინვესტიციო და საფონდო ბაზარი არ არის ისეთი განვითარებული როგორც, სხვა მსხვილ და ძლიერ ქვეყნებში როგორებიცა: ამერიკა, ინგლისი, გერმანია და სხვა. მაგრამ სწორი განვითარების პირობებში და ეკონომიკური და პოლიტიკური სიმშვიდის ფონზე საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექს აქვს განვითარების შესაძლებლობა რეგიონში რადგან ზემოთ ხსენებული ინფორმაციის საფუძველზე იგი შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და მისი გამოთვლა ხორციელდება უკვე გამოცდილი პრაქტიკის საფუძველზე, რაც თვის მხრივ ხდის მას სანდო და ზუსტ ქართულ ფინანსურ ინდიკატორს.

დასკვნა

საბოლოოდ მინდა ხაზი გავუსვა საერთაშორისო საფონდო ინდექსების შექმნის და ჩამოყალიბების მნიშვნელობას, რადგან მოცემული ინდექსების მეშვეობით ბევრად მარტივი გახდა ფინანსური და საინვესტიციო ბაზრის გაანალიზება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, აღნიშნული ინდექსები წარმოადგენენ ფინანსურ ინდიკატორებს, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოიტანოს სხვადასხვა ვარაუდები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. მოგეხსნებათ ეკონომიკური პროცესები ძალიან მგრძობიარეა ნებიერსმიერი მნიშვნელოვანი ფაქტორების წინაშე, იქნება ეს პოლიტიკური, გეოგრაფიული, ბუნებრივი კატაკლიზმები თუ სხვა, აღნიშნული ფაქტორების გავლენა უმაღლვე აისახება ისეთ ინდიკატორებზე რომლებზეც ვისაუბრე აღნიშნულ ნაშრომში.

თემის დასაწყისში საუბარი მქონდა საერთაშორისო საფონდო ინდექსების განვითარებისა და ჩამოყალიბების გზებზე, შესაბამისად მინდა გამოვეყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო Dow Jones Industrial Average იგივე DJIA და Standard&Poor's ის ინდექსები. მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას რომ აღნიშნული ინდექსები წარმოადგენენ საბაზისო მაგალითს სხვა მსოფლიო ინდექსებისათვის, რადგან მათ მაგალითზე დაყრდნობით ყალიბდებოდა სხვა საერთაშორისო და არანაკლებ მნიშვნელოვანი ინდექსები, რომლებითაც დღესდღეობით ფართოდ სარგებლობენ მსოფლიოში. აღნიშნული ინდექსების განვითარების გზა და გამოცდილება ჩაეყარა საფუძვლად ისეთ ინდექსებს, როგორცაა Nikkey, Nasdaq და სხვები. ასევე აღსანიშნავია მათი მნიშვნელობა და სტატუსი დღევანდელ ფინანსურ და საინვესტიციო ბაზრებზე, აღნიშნულები, დღესაც წარმოადგენენ მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ინდიკატორებს და შესაბამისად მათ მნიშვნელობას საკმაოდ დიდი როლი უკავია სხვადასხვა ფინანსური და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

მსოფლიო ეკონომიკურ ინდიკატორებზე საუბრისას, არ შეიძლება გამოვტოვოთ სარეიტინგო სააგენტოების იგივე, CRA – Credit Rating Agencies როლი და მნიშვნელობა, როგორც თემაში ვისაუბრე მათ უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენს ქვეყნებისათვის, კომპანიებისათვის და სხვადასხვა ორგანიზაციების რეიტინგების მინიჭება, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესაბამისად ნაშრომში განხილული დიდი სამეული საკმაოდ კარგად და ნათლად ასახავს მათი მუშაობის პრინციპს და თავისებურებებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს რეიტინგების მინიჭებას სხვადასხვა სახის სავალო ვალდებულებების ემიტენტებზე, ასევე როგორც თვითონ სავალო ინსტრუმენტებზე, ამასთან ერთად ისინი ახორციელებენ ვალდებულებასთან დაკავშირებულ მომსახურების შეფასებას. მათი მნიშვნელობა საკმაოდ საინტერესოა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას რადგან აღნიშნული სააგენტოების შეფასების მიხედვით ,

ჩვენ მარტივად შეგვიძლია გავიგოთ კომპანიის კრედიტუნარიონობის დონე და შესაბამისად მივიღოთ ხელსაყრელი გადაწყვეტილებები.

როგორც ინდექსები ასევე სარეიტინგო კომპანიები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდიკატორებს, რომლებიც თავის მხრივ აწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ყველა დაინტერესებულ პირს სხვადასხვა გადაწყვეტილებების მისაღებად. ისინი აფასებენ კომპანიის კრედიტუნარიონობას და მათი რისკის დონეს. როგორც ზემოთ ვახსენე, ნაშრომში განხილული იყო „დიდი სამეულის“ სახელით ცნობილი სარეიტინგო კომპანიები, როგორებიცაა: “Mood’s Investor Service”, “Standard&Poor’s” და Fitch Ratings. აღნიშნული სარეიტინგო კომპანიები წარმოადგენენ მთლიანი სარეიტინგო ბაზრის უმსხვილეს ნაწილს, შესაბამისად ისინი სარგებლობენ მაღალი სანდოობითა და პოპულარობით, რაც თავის მხრივ ეხმარება მათ სამომავლო განვითარებასა და დახვეწაში.

ამასთან ერთად ნაშრომში განხილული იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საქართველოს საფონდო ბირჟა და საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი. როგორც, ზემოთ ვისაუბრე, საქართველოს საფონდო ბირჟა არსებობს ორი ათეული წლის გამოცდილებას ითვლის ხოლო ამ დროის განმავლობაში მან შეძლო მიეღო თვითრეგულრებადი ორგანიზაციის სტატუსი, მაგრამ ეს მოცემული დრო არ აღმოჩნდა საკმარისი მაღალი ბრუნვის ბირჟის სტატუსის მისაღებად, რადგან არის მაგალითები როდესაც რამოდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟაზე არ დაფიქსირდეს გარიგების არც ერთი ტრანზაქცია, მიზეზი კი ქვეყნის არსებული საფონდო და საინვესტიციო ბაზრის სიმცირეა. ასევე აღსანიშნავია საზოგადოების ინტერესი დააბანდონ საკუთარი სახრები ბირჟაზე, რომელიც საქართველოს მაგალითზე საკმაოდ დაბალია. ვინაიდან საზოგადოება არ ფლობს საჭირო ინფორმაციას დადებული გარიგებების ზისუტესა და მომგებიანობის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას მხოლოდ საბანკო სექტორი ფლობს, შესაბამისად ჩვენი ქვეყნის მაგალითზე სწორად მოცემული სექტორები არიანი განვითარებულები, როგორც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საშუალება. შესაბამისად თუ მოცემული სიტუაცია არ შეიცვლება საქართველოში საფონდო ბირჟის განვითარება საკმაოდ რთულ პროცესად გადაიზრდება და სხვა ქვეყნის საფონდო ბაზრებს საკმაოდ ჩამორჩება. ამასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი მეზობელი ქვეყნების საფონდო ბაზრების გავლენის გათვალისწინებაც, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ საქართველოში საფონდო ბაზარი წარმატებულად ვერ ინფუქციონირებს თუ მას მეზობლად ეყოლება საკმაოდ ჩარმოჩენილი და სუსტი საფონდო ბაზრები. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე აქაც არასახარბიელო ვითარება, რადგან საფონდო ბირჟები ცუდათ ფუნქციონირებენ აზერბაიჯანში, სომხეთში და ირანში, თუმცა საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებენ რუსეთსა და თურქეთში.

საფონდო ბირჟის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს საფონდო ბირჟის ინდექსი, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი, რომელიც

საქართველოს საფონდო ბაზარზე საკმაოდ ახალგაზრდა და ფუნქციონირება მხოლოდ 2010 წლიდან დაიწყო. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე იგი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის საფონდო ბაზრის ერთ-ერთ ინდიკატორს, რომელიც გვეხმარება საფონდო ბაზრის დინამიკის გაგებაში. აღნიშნული ინდექსის განვითარება დამოკიდებულია საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარებაზე. შესაბამისად ფინანსური ბაზრების განვითარება საქართველოში გაზრდის ინვესტიციებს, გააძლიერებს ეროვნულ ვალუტას და დაეხმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- (2020, July 13). Retrieved from indexarb.com: <http://indexarb.com/indexComponentWtsDJ.html>
- berg, C. (2020, May 30). *DAX 30 Index*. Retrieved from ifcmarkets.com: <https://www.ifcmarkets.com/en/introduction/cfd-dax>
- CAC 40 Index France*. (2020, June 7). Retrieved from daytrading.com: <https://www.daytrading.com/cac-40#:~:text=A%20company's%20CAC%2D40%20weighting,weighting%20of%20just%20over%2010%25.>
- Chen, J. (2019, June 25). *Nasdaq Composite Index*. Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/n/nasdaqcompositeindex.asp#:~:text=As%20of%20March%2015%2C%202020,0.72%25%2C%20oil%20and%20gas%20at>
- Chen, J. (2020, April 7). *DAX Stock Index*. Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/d/dax.asp>
- chen, J. (2020, May 31). *Nikkei*. Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/n/nikkei.asp#:~:text=The%20Nikkei%20is%20Japan's%20leading,of%20all%20the%20companies%20listed.>
- Chen, J. (2020, June 17). *Russell 2000 Index*. Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/r/russell2000.asp>
- Fitch Ratings*. (2020). Retrieved from fitchratings.com.
- FitchRatings*. (2020). Retrieved from fitchratings.com: <https://www.fitchratings.com/>
- FTSE 100*. (2020, May 29). Retrieved from londonstockexchange.com: <https://www.londonstockexchange.com/indices/ftse-100>
- Hang Seng Index*. (2019, March 13). Retrieved from capital.com: <https://capital.com/hang-seng-index-definition>
- Kenton, W. (2020, June 26). Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/d/djta.asp>
- Kenton, W. (2020, May 19). Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/s/sp500.asp>
- MITCHEL, C. (2019, June 5). *NYSE Amex Composite Index*. Retrieved from investopedia.com: <https://www.investopedia.com/terms/n/nyse-amex-composite-index.asp>
- Moody's*. (2020). Retrieved from moodys.com: <https://www.moodys.com/>
- Naciri, A. (2019). *Credit Rating Governance*. In A. Naciri. Routledge.
- NYSE*. (2018, April 24). Retrieved from nyse.com: https://www.nyse.com/publicdocs/data/NYSE_Index_Series_Methodology.pdf

NYSE Directory. (2020, June 17). Retrieved from nyse.com: https://www.nyse.com/listings_directory/index

Russell 2000 Sector Weightings. (2020, June 30). Retrieved from siblisresearch.com: <https://siblisresearch.com/data/russell-sector-weightings/>

S&P Dow Jones Indeces. (2020, May 28). Retrieved from us.spindices.com: <https://www.spglobal.com/spdji/en/indices/equity/sp-500/#overview>

S&P Global. (2020). Retrieved from standardandpoors.com: https://www.standardandpoors.com/en_US/web/guest/ratings/presale-reports

SSE Composite. (2020, June). Retrieved from csindex.com: <http://www.csindex.com.cn/uploads/indices/detail/files/en/000001factsheeten.pdf>

Top 40 companies of France in the CAC index 2019. (2019, December 12). Retrieved from disfold.com: <https://disfold.com/top-companies-france-cac/>

საქართველოს საფონდო ინდექსის GSX განსაზღვრის წესი. (2017, თებერვალი 17). Retrieved from gse.ge: https://www.gse.ge/upload/Index_49b7a819.pdf

სსბ-ს შესახებ. (2020). Retrieved from gse.ge: <https://www.gse.ge/about-gse>